სამეგრელოს მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N23 (9274) 21 აგვისტო. 2018 წელი ფასი 50 თეთრი

"სათნოების სახლის" ოცდაცხრა შინაარსი 100 წლისაა

5

იმერეთის გუბერნატორად შავლეგო ტაბატაძე დაინიშნა

2

რამდენი დაიხარჯება საპრეზიდენტო არჩევნებისათვის?

2

საპრეზიდენტო არჩევნები 2018 თვითონ ცალცალა გაღაწყვიტოს, ვის ვიანიჭოს უპირატესობა

4

დამალევიეთ, რაია, ერთი ჭიქა წყალი!

ცამცრილია იმერეთის ლორილაც ანრ ყოთვილოა ანე განთიებულია

3

8

ოოდესაც ხდობის ფეიქლოი ოხებობს ადამიანებში და, ზოგადად, ხოსიეოებში, ფხიქოლოგი ხაქიოო ალთ ოოის

რომ ვისრჩვეზოდით და ვიგუდეზოდით, იმაზე უფრო ვისრჩვეზით და ვიგუდეზით!

3

იმერეთის გუბერნატორად შავლეგო ტაბატაძე დაინიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ იმერეთის რეგიონის გუბერნატორის თანამდებობაზე შავლეგო ტაბატაძე წარადგინა. იგი დღემდე თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსი იყო.

"ის გახლავთ ერთ-ერთი გამორჩეული სამხედრო. მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქართული მხრიდან ძალიან მნიშვნელოვან სწავლებებს. იგი მონაწილეობდა საქართველოს სამშვიდობო მისიებში და გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სამხედრო ამ მიმართულებით. მას აქვს დიდი წვლილი შეტანილი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში და პირადად მისი ავტორიტეტი ჩვენს ჯარისკაცებშიც არის საკმაოდ მაღალი. მე განსაკუთრებით მიხარია, რომ ასეთი წარსულის ადამიანს ვანდობთ ისეთ საპასუხისმგებლო საქმეს, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი რეგიონის ხელმძღვანელობა." _ განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

იმერეთის გუბერნატორის გარდა, პრემიერ-მინისტრმა ახალი სახელმწიფო რწმუნებულები სამეგრელო-ზემო სვანეთში, გურიაში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში წარადგინა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მთავრობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი რეგიონების თანაბარი განვითარებაა. სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას აქვს ძალიან ბევრი პრობლემა და მათ გადასაჭრელად ცალკეული პროექტების განხორციელება საკმარისი არ არის. პრემიერ-მინისტრის განცხადებით ის გეგმები, რომლებიც დაისახა რეგიონების განვითარებისათვის, უნდა განხორციელდეს შეუფერხებლად, სრულყოფილად და ძალიან მაღალი დონის დისციპლინით.

imereti.gov.ge

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და წინასაარჩევნო სამზადისი სად უნდა განთავსდეს სააგიტაციო მასალა...

ლევან გაბეჩავა

რიგგარეშე სხდომაზე შეიკრიბა მუნიციპალიტეტის საკრებულო 11 აგვისტოს.

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია შეკრებილთ მიესალმა და დღის წესრიგში დასმული საკითხები გააცნო, რომელთა შესახებაც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა ვაჟა სტურუამ და იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა მოახსენეს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 46-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენი ადგილების სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფის საკითხი და

გადაწყვიტა:

1. ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს:

ა) ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქ. №31-ში, კულტურის სახლის წინ მდებარე 2 სარეკლამო აბრა;

ბ) ქალაქი სამტრედია, ჯავახიშვილისა და რუსთაველის ქუჩების გადაკვეთაზე, რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე მხარეს მდებარე 1 სარეკლამო აბრა.

გ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბოძები.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს მგზავრთა მოსაცდელები, გარდა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებული მოსაცდელებისა.

3. პირველი და მეორე პუნქტებით განსაზღვრული ადგილების (ობიექტების) გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება აგრეთვე გამოიფინოს სხვა შენობა-ნაგებობებსა და ობიექტებზე (გარდა მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავ/გამოსაფენ ადგილებად გამოიყოს სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელი დროებითი ღობეები.

5. აკრძალულია სააგიტაციო მასალის საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

6. საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნას წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა - ისარგებლონ სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ შენობა-ნაგებობების გამოყოფის საკითხი და

გადაწყვიტა:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ გამოიყოს შემდეგი შენობა-ნაგებობები:

ა. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დარბაზი (ქალაქი სამტრედია, რუსთაველის ქუჩა);

ბ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის - სოფელ ხუნჯულაურის კლუბი;

გ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის - სოფელ ნოღის კლუბი;

დ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ღანირის ადმინისტრაციული ერთეულის - სოფელ ღანირის კლუბი.

საკრებულომ განიხილა რიგი სხვა საკითხებისა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

რამდენი დაიხარჯება საპრეზიდენტო არჩევნებისათვის?

ლევან გაბეჩავა

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 10 აგვისტოს დადგენილებით საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად სახელმწიფოს მიერ 42 667 518 ლარია გამოყოფილი. აქედან 32 127 177 ლარი არჩევნების ჩატარებას მოხმარდება.

საარჩევნო მოხელეთა გადამზადებისათვის 1 190 617 ლარი დაიხარჯება.

საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამების განთავსების ხარჯი 2 111 674 ლარი იქნება, ხოლო საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსებისათვის 7 238 050 ლარია გამოყოფილი (გაზეთი "ახალი თაობა").

მაშინ, როცა ქვეყნის მეთაურის საარჩევნო კამპანიისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა იხარჯება (სულ მცირე სამი მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტის ტოლი), წარამარა იმისი წერა და ძახილი, რომ პრეზიდენტის უფლებები შეზღუდულიაო და აფიშირება, თუ რა საკითხებში შეიზღუდა მისი უფლებები, მიუღებელია, არასასურველია, არაკორექტულია. შეზღუდულია თუ არა უფლებები პრეზიდენტისა, იგი სახელმწიფოს, ქვეყნის სახეა, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო ასპარეზზე, ასე რომ, აქაც ზომიერება უფროა მისაღები, ვიდრე ემოციები, თუნდაც, პოლიტიკური.

საპრეზიდენტო არჩევნები 28 ოქტომბერს ჩატარდება.

მიზანი - მეტი ინფორმაცია მცირე მეწარმეებს

ნინო ნანიტაშვილი

20 აგვისტოს სამტრედიის მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გამართა შემოსავლების სამსახურმა. ეს უკანასკნელი მიზნად ისახავდა საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების ირგვლივ მსჯელობას. ცვლილება კი ითვალისწინებს ყველა იმ ინიციატივას, რომელიც კანონმდებლობაში მცირე ბიზნესის მიმართულებით ხდება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცირე ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრა საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა. ფართო აუდიტორიასთან სიტყვით გამოვიდა შემოსავლების სამსახურის მცირე ბიზნესის მიმართულების დეპარტამენტის ქუთაისის სერვისცენტრის უფროსი. ინგა ბოჭორიშვილმა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები მთელი საქართველოს მასშტაბით იმართება და მცირე მეწარმეების ინფორმირებულობას ისახავს მიზნად.

როგორც საზოგადოების გარკვეული წრისათვის არის ცნობილი, 1-ლი ივლისიდან მცირე მეწარმეობის წახალისების მიზნით დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი მოქმედებს. ახალი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი 120 000-მდე მეწარმე ფიზიკურ პირს შეეხება. "ღია კარის დღეები" საქართველოს ყველა დიდ ქალაქში გაიმართა.

რომ ვიხრჩვებოდით და ვიგუდებოდით, იმაზე უფრო ვიხრჩვებით და ვიგუდებით!

თეა ბაბუნაშვილი

ვწერთ ყველა პასუხისმგებელი პირის კომენტარის გარეშე, და ეს იმიტომ, რომ უკვე აზრი დაკარგა ყველანაირმა კომენტარმა. რადგან ერთხელ არ ეყო, ჩვენი გაზეთი კიდევ ერთი რეპლიკით ამცნობს მკითხველს, თუ რა ხდება სულ რამდენიმე მეტრში მერიის შენობიდან რუსთაველის ქუჩაზე მდგარი საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოში. მერიაც რომ არ იყოს, სამტრედიელებმა იციან, რომ ეს ადგილი, ფაქტობრივად, ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია! კანალიზაციის შემკრები კოლექტორი, გაყვანილობის ვიწრო მილების, აგრეთვე, მომრავლებული კერძო ობიექტების გამოც, გაჭედილია. ფეკალურ მასებთან ერთად იქიდან გადმოსული სითხე სასმელი წყლის გაყვანილობაში ჩაედინება. ამ საერთო საცხოვრებელი სახლების მოსახლეობა ონკანიდან აღარ სარგებლობს სასმელ წყალს _ ყიდულობს! ცხელ ზაფხულში ანტისანიტარია, ბუნებრივია, კიდევ ერთი საგანგაშო თემაა მიმდებარე საერთო საცხოვრებელი სახლების ბინადართათვის. როგორც ირკვევა, მიმდინარე წლის ბოლომდე ბიუჯეტში ვერ გაითვალისწინებენ ამ პრობლემის მოგვარებას, მომავალ წლამდე კი... არადა, ვიგუდებით და ვიხრჩვებითო, ჯერ კიდევ წინა ნომერში წერდნენ ჩვენს გაზეთში აქაურები. იმ დღეს, როცა კიდევ ერთხელ გვიშველეთო, მოგვმართეს ჟურნალისტებს, წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებმა ერთი ფეხის ნაბიჯით გაგვასწრეს, მაგრამ ისე, რომ "დიდში რომ არ ეტეოდა და პატარაში სულ არ იყო", იმ შემკრები კოლექტორის თავსახური, ნახევრად ღია დატოვეს. ჰოდა, თუ საკითხის გადაწყვეტაზე არა, აქაურების სურნელოვანი აეროზოლებით მომარაგებაზე, ან, სულაც, აირწინაღების დარიგებაზე იფიქროს იქნებ ვინმემ, თუ კოლექტორის შეკეთებაზე ნაკლები დაჯდება დასაფინანსებლად. მართალია, ჟურნალისტებს არავინ უსმენს, განსაკუთრებით სამტრედიაში, და ამ წერილის შემდეგაც კვლავ მოუწევს გაბრაზებული ტონის "მოგერიება" ჩვენს გაზეთს და ამ წერილის ავტორსაც, მაგრამ ნაკლებად მოიძებნება უწყება, რომელიც აღიარებს, რომ პრობლემა თავიდან ბოლომდე მისი მოსაგვარებელია. მათგან განსხვავებით, ჩვენ ვაღიარებთ, რომ წერა მსგავს საკითხებზე ჩვენი პროგატივაა. ამიტომ, ისიამოვნეთ ბატონებო! იქაურმა მოსახლეობამ თქვენს გაზეთში ერთი მასალის გასვლამდე რომ ვიხრჩვებოდით და ვიგუდებოდით, იმაზე მეტად ვიხრჩვებით და ვიგუდებით, ამიტომ, ტონი კიდევ უფრო გაამკაცრეთო. ჰოდა, მოსახლეობის სურვილი ისევე როგორც თქვენთვის, ჩვენთვისაც კანონია! როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ვიცით ამ წერილს მოჰყვება _ ჩასმული იყო, უნდა მოგვარებულიყო, პრობლემა ბევრია, თანხა არ ეყო... დიდი ხნის წინ გახლდათ მოსაგვარებელი, რა გააკეთა წინა ხელისუფლებამ...

რა გააკეთა და _ ფაქტი სახეზეა, არც წინას, არც იმის წინას, თუ სულ არაფერი არა, ბევრი არაფერი გაუკეთებია! თუმცა, ოდესმე ხომ უნდა გააკეთოს ვინმემ, საქმიანი დაპირებით და ამბიციით მოსულმა?! ერთი სიტყვით, თავის გასამართლებელი მეთოდები, ყველა დროის ხელისუფლებას დაგიძველდათ, ბატონებო! და ერთიც, რადგან გაზეთი ამის საშუალებას არ იძლევა, გია ყანჩელის უკვდავი მელოდია ფილმიდან "ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი" იგულისხმეთ. ჰოდა, ორი სათაური ან ამ წერილს რად უნდა...

ალბათ, ჯერ არ მისულა მუნიციპალიტეტის ამ "ყველაზე დიდ" შენობამდე სუნი ამ ეზოდან, არც მის წინ მდებარე მთავარი ოპოზიციის შტაბამდე, თორემ, მაშინ მაინც გამოვიღოდნენ კაბინეტებიდან ისინი, ვინც ლეგიტიმურად უნდა ზრუნავდეს, ან ეზრუნა ქალაქის კეთილმოწყობაზე, და ვისაც პრეტენზია აქვს, რომ დაკისრებულ მოვალეობებს მაქსიმალურად კარგად ასრულებს, ან ასრულებდა.

გასაგებია, პრობლემა უპირველესად წყალმომარაგების კომპანიის სამტრედიის ფილიალმა უნდა მოაგვაროს და ამიტომ კაბინეტებიდან გამოსასვლელებში ისინიც იგულისხმებიან! ფეხით სიარული ჯანმრთელობაა, ჰოდა, ერთად გავიაროთ ქალაქში, ემანდ, ვინ იცის, რას გადავეყრებით!

რუსთაველის ქუჩის იმ სახლის ბინადრებმა, თავის დროზე ფასადების შეღებვის გამო ნაირ-ნაირი სამადლობელი წერილები "გამოაცხვეს". მათთან ერთად ჩვენც, ჟურნალისტები აჟიტირებულები ვწერდით ამ მართლაც ძალიან კარგ ამბავს. ახლა კი სწორედ იმ მოსახლეობამ შემოგითვალათ ყველას, ვისაც უნდა ესმოდეს მათი საყვედური, _ მოგვხედეთ, თორემ საარჩევნოდ ჩვენ ვიცით და ჩვენმა კანალიზაციამო! ჰოდა, ამ დრომდე არც ისე შორია და ისევ თქვენ რომ არ დაზარალდეთ, პატივცემულებო, ქალაქში სასეირნოდ გასვლის დროა!

"ტვინი გაანძრიეთო", სამტრედიაზე გაცილებით მაღალი ტრიბუნიდან დაგვმოძღვრეს და ჩემი ტვინის განძრევა ასეთი გამოვიდა, ბატონებო!

დამალევიეთ, რაია, ერთი ჭიქა წყალი!

სამცრიელია იმიტომ ლრიოსაც ვერ ყოფილა ასე გაბოროტული

თეა ბაბუნაშვილი

გომელებმა, დაბლა გომელებმა, მთისძირელებმა, გომმუხაყრუელებმა, დაფნარელებმა, კორმაღლელებმა, ყველამ ერთად მოიყარეს თავი გომის ცენტრში. მათთან შესახვედრად მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია ჩავიდნენ. თემში მერის წარმომადგენელ ზაზა ნიკოლეიშვილთან და მაჟორიტარ დავით ამაღლობელთან ერთად გამართული შეხვედრა მის პრობლემებსა და საჭიროებებზე საუბრით შემოიფარგლა. იხუმრა კიდეც ვალერი ფოცხვერიამ, მოახლოვდა არჩევნები და თავს არ შეგაწყენთო. მერე საქმეზე გადავიდნენ _ "თქვენგან გვინდა მოვისმინოთ, რამე რომ არ გამოგვრჩეს, თორემ, ჩვენ ყველა პრობლემა ვიცით რაც გომშია და გომს იქეთაც. გასაგებია, გასაკეთებელი ბევრია, მაგრამ არის ისეთი საკითხებიც, მოსახლეობას თავად რომ შეუძლია და ევალება კიდეც, მოაგვაროს. უთო რომ გადაიწვება, მერიაში და მერთან არ უნდა დარეკო. რომ ვპასუხობ, ქალბატონო "ელექტრიკი" არავართქო, აბა, რატომ აგირჩიეთო! ბუნებრივია, ცოტა დრამატიზებულია ეს შედარება, მაგრამ ფაქტია, რომ უბრალო ნიუანსების მოგვარებასაც მთავრობას სთხოვს მოსახლეობა." მან შეკრებილებს აუხსნა, რომ ბიუჯეტის დიდი, შეიძლება ითქვას, ძირითადი ნაწილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაში იხარჯება, ოპერაციების, მედიკამენტების თუ სხვა ძვირადღირებული მომსახურებისთვის. და სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა არა მხოლოდ სოციალურად დაუცველ, მოსახლეობის საშუალო ფენასაც სჭირდება დახმარება. შემდეგ ინფრასტრუქტურული პროექტებისა და საჭიროებების დაფინანსებაზე ზრუნავენ.

საუბარი სოფელში ინფრასტრუქტურის მოწესრიგებითა და ბოლო დროის ერთ-ერთი მთავარი თემით, ფაროსანასთან ბრძოლის ეფექტის გაზრდით შემოიფარგლა. როგორც გაირკვა, შეწამვლის პროცესი, მართალია, ინტენსიურად მიმდინარეობს, მაგრამ აუცილებელია, მეტი ეფექტი და გაცილებით მასიური ხასიათი ჰქონდეს მას, რადგან "ერთი შეწამლული ადგილიდან, შეუწამლავ ტერიტორიებზე გადადის მავნებელი და ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ამასთანავე, შეუწამლავია სოფელ დაფნარის ტერიტორია. როგორც ჩანს, ან დროში ვერ ჩაეტია შესაბამისი სამსახური, ან რამე სხვა პრობლემაა."

რეპლიკის შემდეგ, "დამალევიეთ რაია, ერთი ჭიქა წყალი", სოფლის ერთერთმა მკვიდრმა, წყალგაყვანილობის სისტემის და თემის სასმელი წყლით მომარაგების პრობლემაზე გააკეთა აქცენტი, რაზეც ვალერიანე ფოცხვერიასა და თემის მაჟორიტარისგან პასუხად მიიღო, რომ ყველას ძალიან აწუხებს ეს სასიცოცხლო პრობლემა და რომ მისი მოგვარების გზების ძიება ამ შეხვედრის გარეშეც ინტენსიურად მიდის.

გომში, ამ დიდ სოფელში სანაგვე ურნების აუცილებლობასაც შეეხო საუბარი. როგორც თემის მაჟორიტარმა საკრებულოში, დავით ამაღლობელმა განუცხადა თანასოფლელებს, საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკრებულოს სხდომაზე და უახლოეს მომავალში მოგვარდება კიდეც.

სასწრაფოდ მოგვარების რეჟიმში დაისვა მდინარე კაპიტონაზე ხიდ-ბოგირის გადების საკითხიც, რაც მოსახლეობისთვის საჭირბოროტო თემაა. "თუ სამი ტარო სიმინდი მაინც გადაურცა ფაროსანას, მისი ჭალებიდან გამოტანა იქნება საჭირო და, ის ბოგირი, რაც დღეს კაპიტონაზეა, ვერ გაუძლებს. შემოვლითი გზა ძალიან შორსაა." _ ამბობდნენ სოფლელები.

გომელებს რიგ უბნებზე მაინც, გარე განათების მოწყობის სურვილიც აქვთ. "დღეს რომ არის განათებული სამტრედია, ისე იმედაძის დროსაც არ ყოფილა. მაგრამ პრობლემაა რომ ელექტრო ენერგიის გადასახადს მაშინ ბიუჯეტი იხდიდა, მაგრამ ტვირთად არ აწვებოდა მას. დღეს კი ეს დამატებით დიდი ხარჯია ადგილობრივი ბიუჯეტისთვის. ამიტომ გვიჭირს გარე განათების ასე მასიურად ჩართვა. მოსახლეობას ნაკლებად აქვს იმის საშუალება, საკუთარ ჭიშკართან ანთებული ლამპიონის საფასური თავად გადაიხადოს." _ გაიხსენა რაიკომის მდივნის მიერ განათებული სამტრედია ვალერიანე ფოცხვერიამ. საერთოდ, "კომუნისტების დრო" არაერთხელ ახსენეს იმ შეხვედრაზე. კონტექსტი ერთნაირი გახლდათ _ კომუნისტების მერე არ გაკეთებულა ან კომუნისტების დროს რომ გაკეთდა, იმაზე მეტი გაკეთდა ახლა...

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისგან მოსახლეობამ დასმული საკითხების მოგვარების და საჭიროების შემთხვევაში კვლავ საქმიანი შეხვედრის პირობა მიიღო.

საპრეზიდენტო არჩევნები 2018

თვითონ ხალხმა გადაწყვიტოს, ვის მიანიჭოს უპირატესობა

ქეთევან ჭელიძე

"ქართული ოცნება", ჯერჯერობით, თავის საპრეზიდენტო კანდიდატს არ ასახელებს. ცესკოში კანდიდატთა დარეგისტრირების ვადის ამოწურვამდე დრო რჩებათ, სალომე ზურაბიშვილს "დაუკვირდნენ". ქალბატონმა სალომემ კიდევ, 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყოო განაცხადა. მერე კი განმარტა, ასე არ მითქვამსო, მაგრამ აღარავინ უჯერებს. "ქართულ ოცნებას", ალბათ, ამანაც გაუჩინა საფიქრალი, დაუჭიროს თუ არა მას მხარი. თვითონ დამოუკიდებელი კანდიდატი დარწმუნებულია, მმართველი ძალა ლობირებას რომ გაუწევს. არ არის გამორიცხული, ზეპარტიული პრეზიდენტის გამო, ხელისუფლებამ თავისი კანდიდატი არ დააასახელოს. ვიდრე ფაქტი არ დამდგარა, ისევ მსჯელობის რეჟიმში ვართ. არც მარგველაშვილი ჩქარობს, გაასაჯაროს, მეორე ვადით იყრის თუ არა კენჭს პრეზიდენტის პოსტზე. სამაგიეროდ, ოპოზიცია აქტიურობს და თავისი კანდიდატების წარდგენა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უკვე დაიწყო.

არ შეიძლება, არ დავაფიქროთ, რომ საქართველოს რეალობაში პირველად ხდება, როცა მმართველ პარტიას ვერ გადაუწყვეტია, მიიღოს თუ არა მისმა საპრეზიდენტო კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობა. ძნელია, გათვალო, რა ხდება კულუარებში. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ხელისუფლების შიგნით დაპირისპირებული ჯგუფებიდან არ დაუშვებენ ერთი რომელიმე კანდიდატის დასახელებას, რასაც ამ ჯგუფის გაძლიერება მოჰყვება, ან მეორე ტურში წაგების შემთხვევაში ყველაფერს დამოუკიდებელ კანდიდატს დააბრალებენ.

ასე არ ფიქრობს "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია. ენდობა საარჩევნო ყუთებთან მისული ადამიანების გადაწყვეტილებას, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ, ხელისუფლებისთვის საარგებლო იქნება.

- როგორც თქვენი პარტიის ზოგიერთი ლიდერი აფიქსირებს, ქვეყნის საპარლამენტო მოწყობის პირობებში საპრეზიდენტო არჩევნები არცთუ მნიშვნელოვანია. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

- ყველა არჩევნებს თავისი სპეციფიკა აქვს, მათ შორის საპრეზიდენტო არჩევნებს. ზოგადად, არჩევნები ყველა ქვეყნისათვის სერიოზული თემაა და განსაკუთრებით ჩვენთვის. ესეც საკამათოა, რომელი ჯობია, საპარლამენტო, საპრეზიდენტო თუ მონარქიული წყობა. მსოფლიოში სამივე მოდელი მოქმედებს, ჩვენი ეკლესიისთვის მონარქიულია მისაღები. საქართველო ამჯერად არის საპარლამენტო ქვეყანა. პრეზიდენტსაც თავისი ფუნქციები აქვს და ჩემი აზრით, ყველა ფუნქცია მნიშვნელოვანია. თვით ეს არჩევნებიც არის მნიშვნელოვანი. ჩვენი პარტია საკმაოდ სერიოზულად უდგება ამ საკითხს. პრეზიდენტს შეზღუდული უფლებები აქვს. ის არ არის მთავრობის მეთაური, მთავრობის მეთაური პრემიერ-მინისტრია.



- სწორედ ასეთი შეზღუდული უფლებების პირობებში რამდენად ეფექტური იქნება ქვეყნისთვის პრეზიდენტის საქმიანობა? რა ბერკეტებს გამოიყენებს იგი?

- კანონში გაწერილია, თუ რა უფლებები აქვს პრეზიდენტს, პარლამენტს, თვითმმართველობას. საკმაოდ სერიოზული უფლებები აქვს იმ სახელისუფლებო მოდელისათვის, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით. ჩემი აზრით, ასეთი სამთავრობო სტრუქტურის პირობებში უპრიანი იქნებოდა, პრეზიდენტი პარლამენტს აერჩია. ის არ არის მთავრობის მეთაური, ამიტომაც არ არის აუცილებელი, საერთოსაყოველთაო არჩევნებით იყოს არჩეული. როდესაც კონსტიტუციაში ცვლილებები შედიოდა, პირველად მოხდა საქართველოს ისტორიაში (რეფერენდუმი ამ შემთხვევაში არ ჩატარებულა, უფრო ადრე ჩატარდა, საყოველთაო გამოკითხვა, პლებისციტი კი ყველა მუნიციპალიტეტში მოეწყო), მოსახლეობის საერთო ინტერესი იქნა გათვალისწინებული. მაინც ხალხი წყვეტს არჩევნების ბედს.

- რადგან მმართველი პარტია ხახგასმით საუბრობს პრეზიდენტის შეზღუდულ უფლებებზე, ის არც თავისი კანდიდატის დასახელებას ჩქარობს (თუ საერთოდ მოხდა ეს). მოსალოდნელია, მან მხარი დაუჭიროს დამოუკიდებელ კანდიდატს და ეს, დიდი ალბათობით, სალომე ზურაბიშვილი იქნება... თუმცა მათივე განცხადებით კიდევ არის დრო, დააკვირდნენ ქალბატონ სალომეს და გადაწყვეტილების მიღება არ იჩქარონ.

- ქალბატონი სალომე დიდი ხანია, საქართველოში ცხოვრობს. თავის დროზე ის ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრიც იყო, ახლა პარლამენტის წევრია. მისი პოზიციები, დამოკიდებულება ჩემთვისაც არის ცნობილი და მმართველი გუნდისთვისაც. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, რა იგულისხმება ამ დაკვირვებაში. ჯერჯერობით, გადაწყვეტილება საპრეზიდენტო კანდიდატზე მიღებული არ არის. მე სამტრედიის მუნიციპალიტეტში ვარ პარტიის თავმჯდომარე და ვიმოქმედებ გუნდური პრინციპიდან გამომდინარე, რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს გუნდი, იმ გადაწყვეტილების გამტარებელი ვიქნები ჩვენს მუნიციპალიტეტში.

- წინასაარჩევნოდ რამდენიმე ოპოზიციური პარტია გაერთიანდა. მეორე ტურში ისინი ერთიანი ძალით აპირებენ, სახელისუფლებო კანდიდატს დაუპირისპირდნენ. ასეთ შემთხვევაში რამდენად ექნება მას გამარჯვების შანსი?

- იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, ვინ და რამდენი პარტია გაერთიანდება. მნიშვნელობა აქვს, ხალხი რა პოზიციას დაიჭერს, თორემ ბევრი გაერთიანებული პარტია მინახავს და ბევრი დაშლილი პარტიაც. ყველა ისინი ერთიანდებოდნენ ან მოქმედებდნენ მმართველი პარტიის წინააღმდეგ, მაგრამ ხალხის გადაწყვეტილება მაინც საბოლოო იყო. "ქართულმა ოცნებამ" დაამტკიცა, რომ შეუძლია, როგორც არჩევნებში გამარჯვება, ისე ქვეყნის მართვაც. ის კანონით გათვალისწინებულ ბოლო ვადებში გააჟღერებს, თავისი კანდიდატურა ეყოლება თუ არ ეყოლება. ჩვენი უფლებაა, ვისაც გვინდა, იმას დავეხმარებით, ვისაც გვინდა, იმას დავუჭერთ მხარს, მაგრამ გადამწყვეტი აქ მაინც ქართველი ხალხის ხმა არის.

- როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა და შემდეგ სხვებმაც გაიმეორეს, მეტი დემოკრატიისთვის შესაძლოა, თავისი კანდიდატი მმართველმა გუნდმა არც კი დაასახელოს. როგორ ფიქრობთ, საკუთარი კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში უფრო მეტად ხომ არ შეძლებდა "ქართული ოცნება" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი გაეხანგრძლივებინა?

- ივანიშვილის განცხადებას ვეთანხმები. რამდენიმე არჩევნებია, უმცირესობის წარმომადგენლები აპელირებენ იმაზე, რომ გაყალბდება არჩევნები. რომ კომისიები არასწორადაა დაკოპლექტებული... საერთაშორისო ორგანიზაციებს წინასწარ აგუებენ, რომ არჩევნები გაყალბდება. თუ ასე მოხდება, რატომ ღებულობენ არჩევნებში მონაწილეობას?! თუ თავიდანვე ცნობილია ეს, რა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას?! ეს იმიტომ კეთდება, რომ იციან, დამარცხდებიან. მერე ხომ უნდა გაიშვიროონ ხელი და თქვან, ხომ გეუბნებოდით, რომ არჩევნები გაყალბდებოდა. არჩევნებს ძალიან კარგად აკვირდება მასმედია, კომისიები, დგება ოქმები. სიმართლე გითხრათ, 90-იანი წლებიდან ვმონაწილეობ არჩევნებში, კომისიის წევრიც ვყოფილვარ და თავმჯდომარეც. მე ისეთი არჩევნები, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, რაც "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის დროს ტარდება, ამ ქვეყანაში არ მინახავს. ყველას აქვს თავისი საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება. არავითარი ძალადობა, ზემოქმედება.

- "ქართული ოცნების" მხარდაჭერის პირობებში რამდენად იქნება სალომე ზურაბიშვილი ზეპარტიული პრეზიდენტი?

- სალომე ზურაბიშვილი თავისუფალი ადამიანი გახლავთ. საფრანგეთშია გაზრდილი და საბჭოთა მენტალობა არ ახასიათებს. ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და მისი პრინციპული პოზიცია ჰქონდა. ახლაც ასე იქნება, რა შეცვლის? თუმცა, ისევ გავიმეორებ, იქნება თუ არა ეს კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, ჯერ უცნობია. თუკი გუნდი ჩათვლის, რომ ელოს. **როგორ ფიქრობთ, საკუთარი კანდიდატის წარდგენის შემთხვევაში უფრო მეტად ხომ არ შეძლებდა "ქართული ოცნება" ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი გაეხანგრძლივებინა?**

- ივანიშვილის განცხადებას ვეთანხმები. რამდენიმე არჩევნებია, უმცირესობის წარმომადგენლები აპელირებენ იმაზე, რომ გაყალბდება არჩევნები. რომ კომისიები არასწორადაა დაკოპლექტებული... საერთაშორისო ორგანიზაციებს წინასწარ აგუებენ, რომ არჩევნები გაყალბდება. თუ ასე მოხდება, რატომ ღებულობენ არჩევნებში მონაწილეობას?! თუ თავიდანვე ცნობილია ეს, რა აზრი აქვს არჩევნებში მონაწილეობას?! ეს იმიტომ კეთდება, რომ იციან, დამარცხდებიან. მერე ხომ უნდა გაიშვიროონ ხელი და თქვან, ხომ გეუბნებოდით, რომ არჩევნები გაყალბდებოდა. არჩევნებს ძალიან კარგად აკვირდება მასმედია, კომისიები, დგება ოქმები. სიმართლე გითხრათ, 90-იანი წლებიდან ვმონაწილეობ არჩევნებში, კომისიის წევრიც ვყოფილვარ და თავმჯდომარეც. მე ისეთი არჩევნები, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, რაც "ქართული ოცნების" ხელისუფლებაში ყოფნის დროს ტარდება, ამ ქვეყანაში არ მინახავს. ყველას აქვს თავისი საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება. არავითარი ძალადობა, ზემოქმედება.

- "ქართული ოცნების" მხარდაჭერის პირობებში რამდენად იქნება სალომე ზურაბიშვილი ზეპარტიული პრეზიდენტი?

- სალომე ზურაბიშვილი თავისუფალი ადამიანი გახლავთ. საფრანგეთშია გაზრდილი და საბჭოთა მენტალობა არ ახასიათებს. ყოველთვის დამოუკიდებელი იყო და მისი პრინციპული პოზიცია ჰქონდა. ახლაც ასე იქნება, რა შეცვლის? თუმცა, ისევ გავიმეორებ, იქნება თუ არა ეს კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი, ჯერ უცნობია. თუკი გუნდი ჩათვლის, რომ პრეზიდენტი ყველა პარტიისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს და, სხვათა შორის, ეს პრეცენდენტი იქნება ჩვენს ქვეყანაში (შესაძლოა, არც იყოს ცუდი პრეცენდენტი), მაგრამ თუ ჩვენს პარტიას ეყოლება თავისი საპრეზიდენტო კანდიდატი, არც ეს იქნება ცუდი, რადგან პარტია ხარ, პარლამენტში უმრავლესობა გყავს და მონაწილეობ ადგილობრივ თვითმმართველობებში. შეიძლება, არც ერთს არ დავუჭიროთ მხარი და თვითონ ხალხმა გადაწყვიტოს, ვის მიანიჭოს უპირატესობა.

- და თუ გაიმარჯვა ოპოზიციურმა კანდიდატმა?

- გაიმარჯვოს, თუ ხალხს უნდა, მაგრამ ვერ გაიმარჯვებს. არა აქვთ მათ ის წონა, ავტორიტეტი დღეს საქართველოში, რომ წარმატებას მიაღწიონ არჩევნების გზით.

- თუმცა, ისევ ხალხი შეუსრულებელ დაპირებებს წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით ახსენებს ხელისუფლებას.

- არის დაპირებები, რომლებიც შესრულდა და არის დაპირებები, რომლებიც შესრულების პროცესშია. როცა მუნიციპალიტეტის მერად ამირჩიეს, მეც გავეცი გარკვეული დაპირებები. ზოგიერთი ახლავე ითხოვს მის შესრულებას, მაგრამ 4-წლიანი პერიოდი მაქვს და შეუსრულებელს არ დავტოვებ არც ერთ დაპირებას. მეც და ჩვენი გუნდიც, რასაც 4 წლის განმავლობაში ამომრჩეველს დავპირდით, ყველაფერს შევუსრულებთ.

- როგორ ემზადება არჩევნებისთვის "ქართული ოცნება" სამტრედიაში?

- ყველაფერი ჩვეულებრივად მიმდინარეობს. ყოველგვარი დაძაბულობის, ძალდატანების, მოსყიდვების გარეშე. როგორც აქამდე ტარდებოდა, ახლაც ისე ჩატარდება. ჩვენ მზად ვართ არჩევნებისთვის. ყველაფერი საარჩევნო ყუთთან აისახება.

მაღლობა მუნიციპალიტეტის მერს... ყოფილ მარემოვაჭრეებს!

ლევან გაბეჩავა

გარევაჭრობა და მისი თანმდევი უარყოფითი მოვლენები წლების მანძილზე პრობლემას წარმოადგენდა. კარგად გვახსოვს, თუ როგორ იბრძოლა ყაჭეიშვილის გუნდმა ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, მაგრამ... არც მომდევნო ხელისუფალთ დაუკლიათ მცდელობა, თუმცა, ვერ იქნა და ვერ მოგვარდა მოსაგვარებელი. არადა, ჭანტურიასა და მიმიმდებარე ქუჩებზე ერთმანეთში ირეოდა იხვი, ბატი, ინდაური, ცხენი, კაცი, მანქანა... იზრდებოდა ავტოსაგზაო შემთხვევათა ალბათობა, ქალაქი კი შუა საუკუნეების დროინდელ, სავაჭრო ჯიხურებით სავსე უწესრიგო დასახლებას მოგაგონებდათ.

2018 წლის ივლისი

თემა - გარე ვაჭრობის აკრძალვას რომ ითვალისწინებდა, კვლავ დადგა დღის წესრიგში. გაფრთხილდნენ გარემოვაჭრეები.

ვიქნები გულახდილი და ვიტყვი, მეგონა, ბატონ ვალერიანე ფოცხვერიასაც ვერაფერი გამოუვიდოდა, თუმცა, ჩვენდა გასახარად, წლების მანძილზე გადაუჭრელი პრობლემა გადაიჭრა, საკითხი დადებითად გადაწყდა. მოვაჭრეები მაღაზიებს, ბაზარს დაუბრუნდნენ. ქუჩები გათავისუფლდა დახლებისაგან. თავისუფალ ქუჩებში რომ დავდივარ, თავი უცხო ქალაქში, უცხო გარემოში მგონია.

აშკარად მეტი კულტურა, სისუფთავე, წესრიგი იგრძნობა.

ბოდიში მკითხველთან, მაგრამ უკვე იგრძნობა სამტრედიის იერსახეზე ვიღაც(ები) რომ ფიქრობ(ენ)ს.

უმადურებს რა გამოლევს და ისიც მოვისმინეთ, მეტად კრიტიკული სატელევიზიო გადაცემის შემდეგ გააქტიურდა ადგილობრივი ხელისუფლებაო. იმ სატელევიზიო გადაცემაზე ვამბობთ, სამტრედიაში გარე ვაჭრობისას შექმნილი ანტისანიტარიის შესახებ რომ ამცნობდა საზოგადოებას.

არც ამაშია რაიმე ცუდი, პირიქით, მივესალმები, ხელისუფალნი მედიის კრიტიკულ, ობიექტურ შენიშვნებს თუ ითვალისწინებენ და შესაბამისად რეაგირებენ მათზე.

მუნიციპალიტეტის თავკაცები, პირადად მერი, ვალერიანე ფოცხვერია, პროცესში ჩართული სამსახურები, აგრეთვე, გარემოვაჭრეები, რომლებიც გაგებით მოეკიდნენ საკითხს, უეჭველად მადლობას იმსახურებენ, რადგან წლების მანძილზე აქილევსის ქუსლად ქცეული პრობლემის მოგვარებას შეუწყვეს ხელი!

ასე რომ, შეუძლებელი არაფერია!

"სათნოების სახლის" ოცდაცხრა პირადრა 100 წლისაა

ქეთევან ჭელიძე

საუკუნის ამბები, საუკუნეა, მხრებით დააქვს ვალინა ზაქრაძეს. უცებ გაილია 100 წელი, მავრამ კიდევ ერთი იყო და არა იყო რა, კიდევ ერთი ზღაპარი ქალზე ისევ გრძელდება. იმ პატარა ოთახის ფანჯრიდან, მისი რომ ჰქვია, ხან ღამე შემოიპარება სევდიანი მოგონებებითა და მონატრებით და ხან დილა აინთება იმედად.

ბევრი იშრომა. მტერჩვეულიდან ქალაქში ჩამოსული ვოვონა მკერავის პროფესიას დაეუფლა. თავაუღებლივ მუშაობდა და სხვებისთვისაც სიხარული მოჰქონდა. კარგი მეულლეც იყო და დედაც, ბებიაც და დიდი ბებიაც. უყვარდა კოპწიაობა და 100 წლისაც ასეთია.

ქალბატონი ვალინა იმ სახლის ბინადარია, სადაც უმწეობასა და მარტოობას სიყვარულით ებრძვიან, სადაც სიკეთე ასეთი ხილული გამხდარა. იმ სახლს "სათნოების სახლი" ჰქვია.

"სასიხარულოა, როცა აქ მოხვალ და ეს ადამიანები გულში ჩაგიკრავენ. მე კი არ ვიკრავ, ისინი მიკრავენ და ვგრძნობ, რომ გვჭირდება სიყვარული, მოფერება, ურთიერთობა. ოჯახი არის ყველაზე ძვირფასი და ეს არის ოჯახი". _ ბრძანა ხონი-სამტრედიის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე საბამ. მან პირობა შეუსრულა უხუცეს ქალბატონს და 100 წლის საიუბილეო თარიღი განსაკუთრებულად აღუნიშნა. არც მეტი, არც ნაკლები, თვით პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ასტუმრა. მას თან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილიც ახლდა. პარლამენტარები გრიგოლ მიქელაძე და გივი ჭიჭინაძე, ხონის საკრებულოს წარმომადგენლები, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და მისი მოადგილე დავით ბახტაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პასუხისმგებელი პირები, ხონი-სამტრედიის ეპარქიის სამღვდელოებისა და სამონაზვნო დასის წევრები და სხვა ცნობილი სახეები ეწვივნენ იმ დღეს "სათნოების სახლს".

იუბილარს საღამო გაულამაზეს მომღერალმა დათო არჩვაძემ, ანსამბლმა "მეტეხმა", დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მგალობლებმა. მიტროპოლიტის თხოვნით დღეობას არც გივი ჭიჭინაძის სიმღერის გარეშე ჩაუვლია.

"მეუფესთან დიდი ხანია ვმეგობრობ და აქ მისი თხოვნით ვარ, _ გვეუბნება დათო არჩვაძე. _ სამტრედიაში ძალიან ხშირად ჩამოვდივარ, მიყვარს თქვენი ქალაქი. დღეს კი საოცრად საპატიო მიზეზი მაქვს, აქ ვიმყოფებოდე. 100 წლის შესრულებას ვულოცავ ქალბატონს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ".

- ასეთი დღისთვის, მართლაც, ღირდა სიცოცხლე! _ ამბობდნენ სხვები.

- ასეთი მილოცვისთვის ღირს სიცოცხლე! _ თქვა მეუფემ და იმ დღის კიდევ ერთი სიურპრიზი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მილოცვა გაახმოვანა.

"როდესაც მის უწმინდესობას მოვახსენე, რომ "სათნოების სახლში" გვყავს 100 წლის ქალბატონი გალინა-მეთქი. მან ისურვა და ეს წერილი გამოუგზავნა მას". _ განმარტა მეუფემ და იუბილარს ხმამაღლა წაუკითხა იგი:

"ქალბატონ გალინა ზაქრაძეს!

მიიღეთ ჩემი გულითადი მილოცვა დაბადების 100 წლისთავის გამო. თქვენ ორ ათასწლეულში, ორ საუკუნეში და ორ სრულიად განსხვავებულ სახელმწიფო წყობაში მოგიწიათ ცხოვრება და რთული გზაც გაიარეთ. მაგრამ თქვენი სიკეთის გამო ათეიზმიდან ღმერთამდე მაინც მიხვედით. მადლობა უფალს, მისი სასოება გაქვთ და მადიდებელი ქრისტიანი ხართ. ღმერთმა დაგლოცოთ და სულიერად კიდევ უფრო გაგაძლიეროთ, რათა იხაროთ ორსავ სოფელსა შინა".

"ეს არის ნიშანი, თუ როგორი პატრიარქი გვყავს. იგი ყველა ჩვენგანის გულისა და ოჯახის ბინადარია". _ ამბობდა მეუფე საბა. _ "პატრიარქი ყველგან არის, ვითარცა ღვთის ღირსეული ელჩი ქვეყანაში და მისთვის ძვირფასია ყოველი დღე. მიუხედავად იმისა, რომ მერგო პატივი, 22 წელი პატრიარქის გვერდით ვიღვწოდე და ძალიან ახლოს ვიცნობდე, გამიძნელდება, წარმოვთქვა ყველა ის სიტყვა, რომელიც მას ეკუთვნის. იგი ქრისტეს მოწაფეების ღირსეული გამგრძელებელია. ადამიანებმა ქრისტე ჯვარს აცვეს, მისი მოწაფეებიც. შემდგომ მოხდა შეფასება, დაფასება და ვერ იქნება პატრიარქი დიდებული, თუ მას ასეთი წინააღმდეგობრივი ცხოვრება არ ექნა. ის ამითაც გამორჩეულია. როგორც ქრისტეს მოწაფეები ითმენდნენ და მადლობდნენ, რომ ისინი გახდნენ ქრისტეს მსგავსი ცხოვრებისა, პატრიარქიც ასე ითმენს და მადლობს ღმერთს ყველაფრისთვის.

მის სიტყვებს მოვიშველებ, რომლებიც ღრმად დამრჩა მეხსიერებაში: "მე არ ვიცი, საქართველოა ჩემში თუ მე ვარ საქართველოში". პატრიარქი არის საქართველოში, მასშია საქართველო. ის არის თავის ქვეყანას შეწირული. პატრიარქი არის იმ გზაზე მავალი, რომელიც ქრისტემ გაიარა, ეკლიანი გზაა და ეს ეკლები აუცილებლად უნდა მოგხვდეს, რომ იყო დიდებული ადამიანი. მადლობა ღმერთს ასეთი დიდებული სულიერი მოძღვარი რომ გვყავს".

"პატრიარქი ნიშნავს ძლიერ ეკლესიას, ძლიერი ეკლესია - ძლიერ საქართველოს. მე ერთი მორწმუნე ქართველი ვარ, რომელსაც სწამს თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის. თუ ერი და ბერი ერთად დადგება, ეს ქვეყანა მიაღწევს წარმატებას. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ქართული ეკლესია ძლიერი იყოს. შესაბამისად, ქართული სახელმწიფოც იყოს ძლიერი". _ აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

- ვნერვიულობ, ყველა შევაწუხეო, ქალბატონმა გალინამ, თუმცა... ყურადღება და პატივისცემა შეიფერა, ენაწყლიანობდა და ყველას ლოცავდა: ჩემზე დიდხანს იცოცხლეთო. ლექსიც თქვა და იუმორიც თან მოაყოლა. საიუბილეო ტორტიც მიართვეს, სანთელიც ჩაქრო და ის მეასე წელიც თავისი ცხოვრების ისტორიას მიაბარა.

გალინა ბებოს მიმართ (როგორც მას ყველა ეძახდა) პატივისცემის, კეთილი სურვილების გარდა, იქ შეკრებილებს ის საერთოც ჰქონდათ, რომ აქამდე არასდროს ყოფილან 100 წლის ადამიანის დაბადების დღეზე. "ნამდვილად პირველად ვიმყოფები, _ დაგვიდასტურა ბატონმა მამუკა ბახტაძემაც. _ ძალიან ემოციურია, სიტყვებით ვერ გადმოვცემ. მადლობა მეუფე საბას ამისათვის."

იუბილარისადმი კეთილი სურვილები "სამტრედიის მაცნესთან" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის დირექტორმა ლუარა კახიანმაც დააფიქსირა, ამ სახლის ბინადრები ჩვენი ბენეფიციარები არიანო, დასძინა. თბილი სიტყვები არც სამტრედიის შპს "ჯეო ჰოსპიტალს" სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორმა ლელა ხურციძემ და ტექნიკურმა მენეჯერმა ზაზა ზვიადაძემ დაიშურეს.

სამტრედიის ყოფილ გამგებელს, კახა უჯმაჯურიძესაც, ბევრი რამ აკავშირებს ამ სახლთან. იგი მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ამოქმედდა და დღესაც არ წყვეტს მასთან ურთიერთობას. საკრებულოს წევრ გიორგი ლეჟავასთვისაც მნიშვნელოვანია ეს დღე: "100 წელი ცოტა არაა სიცოცხლისთვის, იმისთვის, რომ ღირსეულად იცხოვრო, ინარჩუნებდე მხნეობას და ასეთ სიყვარულს გასცემდე". დამოუკიდებელი საქართველო და ქალბატონი გალინა ტოლები არიანო, ბატონმა ჯონი ნადირაძემ.

"თქვენ თქვენი პასუხისმგებლობა ღირსეულად შეასრულეთ, არა მარტო თქვენი, სხვისი შვილებიც აღზარდეთ. თქვენ გვერდით ვდგავარ, როგორც შვილი. თქვენგან ვღებულობ დედობრივ სიყვარულს." _ ასე მიმართა გალინა ზაქრაძეს მიტროპოლიტმაც.

როგორც "სათნოების სახლის" დირექტორი, მღვდელი შიო ჭაფოძე გვიხსნის, სახლში ამჟამად 19 ბენეფიციარია. პირველად ხდება, რომ 100 წლის იუბილარი ჰყავთ: "ქალბატონი გალინა ორი წელია, ჩვენთან ცხოვრობს. მიუხედავად, ასაკისა, გონება კარგად უჭრის და აქტიური ქალბატონიცაა, ლოცვებს კითხულობს, ეზიარება. მეუფე აქ ხშირად გვსტუმრობს, ყურადღებას არ აკლებს ამ ადამიანებს. როცა გაიგო, ქალბატონ გალინას 100 წელი უსრულდებოდა, დაპპირდა, რომ დაბადების დღეს გადაუხდიდა. შეძლებისდაგვარად ყველაფერს ვაკეთებთ მათი კეთილდღეობისთვის. მხარდაჭერას ვგრძნობთ ხელისუფლებიდანაც, მაგრამ კიდევ მეტია გასაკეთებელი უკეთესი პირობების შესაქმნელად".

თავიანთი დიდი ოჯახის წევრს, ბენეფიციართა სახელით, დაბადების დღე მიულოცა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა ზინა კორძაძემ. მან მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრს სტუმრობისათვის. ტელევიზორში ყოველთვის გხედავთ და ვერ წარმოვიდგენდი, აქ თუ მობრძანდებოდითო. მან მადლიერება გამოხატა მეუფე საბას მისამართით, ასევე, - მღვდელი შიოს, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და "სათნოების სახლის" იმ მედპერსონალისა და თანამშრომლებისადმი, მათზე რომ ყოველდღიურად ზრუნავენ. კარგი იქნება, თუ მეტი ყურადღება ექნებათ ამ ადამიანებს, ჩვენთვის ასე რომ იხარჯებიანო. _ მოკრძალებით ითხოვა კიდეც.

"ქრისტიანობა ეს არის სხვა ადამიანისთვის ცხოვრება. არაფერია იმაზე დიდი, ვიდრე საკუთარი სული დასდო მისთვის." _ ამბობს მეუფე. მიაჩნია, რომ, რაც მისი ინიციატივით "სათნოების სახლში" ხდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური მოვალეობის აღსრულებაა. "ბედნიერი ვარ იმით, რომ შევძელით გალინა ბებოს გახარება. როცა ეპარქიის მმართველი გავხდი და აქ მოვდიოდი, პატრიარქმა მითხრა: შენ კი არ დაიმსახურე ეს, ეს არის ღვთის მადლი, ღვთის დიდი წყალობა, რომ ამ უძველეს ეპარქიაში გაგზავნით. შენ უნდა უწინამძღვრო ამ ხალხს. ყველაფერი გააკეთო, რომ ამ ეპარქიაში მცხოვრები ყოველი ადამიანის სახელი ცხოვრების წიგნში ჩაიწეროს. ჩემთვის ეს არის უპირველესი ლოცვა, ღმერთმა ყოველი ადამიანი ცხოვრების წიგნში ჩაწეროს. ყოველი ადამიანი ცხონდეს და მათი ლოცვით მეც ვცხონდე. ქალბატონი გალინას სახელიც ჩაიწერება ცხოვრების წიგნში".

მეუფე საბა თავის დადებით განწყობას ბატონი მამუკა ბახტაძის მიმართაც გამოხატავდა და მადლობას ეუბნებოდა თავისი უბრალოებისთვის, სიკეთისთვის, იმისთვის, თხოვნას რომ დასთანხმდა და ბევრი ადამიანისთვის ის იუბილე დაუვიწყარი გახადა.

"გარდა იმისა, რომ დღეს 100 წლის ქალბატონის იუბილე აღინიშნა და ღმერთმა ყველას მიაღწევინოს ამ ასაკამდე, პრემიერ-მინისტრიც იმყოფებოდა სტუმრად. მისი ვიზიტი ჩვენს რაიონში მნიშვნელოვანია. საუბარი გვქონდა პროექტებზეც, რომელიც სამტრედიაში უნდა განხორციელდეს". _ აღნიშნა ჩვენთან საუბარში ვალერიანე ფოცხვერიამ.

"დღევანდელი დღე საოცრებაა", _ თავისი განწყობა გაგვიზიარა პარლამენტარმა გრიგოლ მიქელაძემაც. - "ღმერთმა ყველა ქართველი მოასწროს ასეთ ასაკს. ყველაფერი ისე ძალიან ლამაზად ჩატარდა, როგორც მას ეკადრებოდა. მთავრობის მეთაურიც გვეწვია, ვისარგებლეთ და რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხიც გადავწყვიტეთ".

...დღეც დასრულდა და იმ პატარა ოთახის ფანჯარაში შემოპარული ღამეც მხოლოდ სასიამოვნო მოგონებებით აფრთხობდა ძილს.

სალომე ზურაბიშვილი: "პრეზიდენტი არა ვეტომდებელი, არამედ იდეამდებელი უნდა იყოს"

ქეთევან ჭელიძე

საარჩევნო მარათონი დამოუკიდებელმა საპრეზიდენტო კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა 16 აგვისტოს დიდი ჯიხაიშიდან დაიწყო. სამშობლოს მსახურებისათვის მზადყოფნა დასაწყისშივე თავისი დიდი წინაპრის, ნიკო ნიკოლაძის, სიტყვებით გააჟღერა: "მას აქეთ, რაც მე ჩემს თავს ვიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არა მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თაყვანი არ მიცია. მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა..."

არა მარტო დიდ ჯიხაიშელები შეიკრიბნენ ნიკო ნიკოლაძის მამულში იმერეთის სხვადასხვა კუთხიდან, არამედ გურიიდან, სამეგრელოდან, თბილისიდანაც კი ჩამოვიდნენ მის მხარდასაჭერად.



ქალბატონმა სალომემ თავის ხედვებსა და პრიორიტეტებზე ვრცლად ისაუბრა. ისიც აღნიშნა, მირჩიეს, იქ არ ჩახვიდე, კვერცხებს გესვრიანო. პირველ რიგში, სწორედ დაპირისპირებულობასა და ძალადობაზე გაამახვილა ყურადღება. დასძინა, რომ პრეზიდენტის ერთ-ერთი მოვალეობაა, იზრუნოს დაპირისპირებების თავიდან ასაცილებლად, რადგან ეს ასუსტებს ქვეყანას. მისი განმარტებით, პრეზიდენტი მედიატორი უნდა იყოს არა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებას შორის, უპირველესად, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. მან საზოგადოების სათქმელი უნდა მიიტანოს მთავრობასთან და პირიქით. განაცხადა, რომ ქალი პრეზიდენტი სწორედ ქალთა უფლებებზე უნდა ზრუნავდეს, რომ ძალადობა ქალთა მიმართ ჩვენი კულტურის დამანგრეველია. ისაუბრა იმაზეც, თუ რისი გაკეთება შეიძლება, საჭიროების შემთხვევაში, უცხოეთიდან დაბრუნებული ქალების ფსიქოლოგიური დახმარებისათვის,

აღზრდა და განათლება სალომე ზურაბიშვილისთვისაც პრიორიტეტია. ამასთან დაკავშირებით მან ევროპაში აპრობირებული "ერთი მარტივი ინიციატივაც" გააცნო შეკრებილებს _ საბავშვო ბაღების გვერდით მოხუცთა თავშესაფრების აშენება სხვადასხვა თაობების დასაახლოვებლად, უფროსი თაობის გამოცდილების გასაზიარებლად.

საპრეზიდენტო კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა ჩვენში არსებულ მზარდ მიგრაციაზე და მიგრირებულ ადამიანთა უცხოეთში დახმარებაზე, იმიგრაციაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, საქართველოში დიასპორის სახლის ამოქმედებაზე, ელიტარული ტურიზმის ჩამოყალიბებაზე, შშმ პირების საზოგადოებაში ადაპტირების აუცილებლობაზე, ასეთი ადამიანებისთვის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში კვოტას გამოყოფაზე, რაც მაგალითი გახდება საჯარო თუ კერძო სამსახურებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს არ გააჩნია ეკონომიკური ბერკეტები დასაქმების პრობლემის მოსაგვარებლად, თვლის, რომ მას ამ კუთხითაც ეთქმის თავისი სიტყვა. მისთვის მიუღებელია კონკურსების არსებული პრაქტიკა და უფრო გამჭვირვალე და ობიექტური უნდა გახდეს იგი.

მან საქართველოში ონკოლოგიის ცენტრის აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი, რადგან პაციენტები უცხოეთში მიდიან სამკურნალოდ, რასაც თან ახლავს არათუ კერძო, სახელმწიფო თანხების დიდი რაოდენობით გადინება.

"პრეზიდენტი უნდა იყოს კულტურის დესპანი, რადგან კულტურა არის ქვეყნის ხერხემალი." _ განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა, რომ პრეზიდენტმა უცხოელი სტუმრები "ჭამა-სმით" და ჩვენი სამზარეულოთი კი არ უნდა გააკვირვოს, როგორც ეს ზოგადად ხდება საქართველოში, არამედ წაიყვანოს იქ, "სადაც სანახაობაა და სადაც წარმოდგენა შეექმნებათ ჩვენს კულტურაზე, საიდან მოვდივართ, ვინ ვართ და რომ უფლება გვაქვს, ვიყოთ ევროპის ნაწილი." რომ ჩვენთან სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, როგორიც სირიაა, იორდანიაა და სხვები, ყველა პირობაა არქეოლოგიური ექსპედიციების საწარმოებლად და ჩვენი ისტორიის გასამდიდრებლად. ზოგადად, მშენებლობის წინააღმდეგი არ ვარო, აღნიშნა პრეზიდენტობის კანდიდატმა, მაგრამ ამდენი "უსახური ტაძრის" აშენებას, მისი აზრით, თანხების უძველესი ეკლესიამონასტრების სარეაბილიტაციოდ გამოყენება უკეთესი იქნებოდა. იზრუნებს, ნიჭიერი, უცხოეთში განათლებამიღებულ ახალგაზრდებს, რომელთაც სახელმწიფო აფინანსებს და მათთვის ხარჯს სწევს, დასაქმდნენ და მიღებული ცოდნა ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენონ.

მედეა შემთხვევით არ დაბადებულა საქართველოში და ისე, როგორც ჩვენი ღვინო, აქ დამზადებული წამლებიც ბრენდი უნდა გახდესო, დასძინა. პრეზიდენტობის კანდიდატმა თავის ევროპელობასაც გაუსვა ხაზი, რომ დაიბადა ევროპაში და დარჩება ევროპელად და მისი პოლიტიკური მისწრაფებაც ჩვენი ქვეყნის ევროპაში ინტეგრირებაა. დასასრულს, მან სერგეი შამბას მნიშვნელოვან განცხადებაზეც გაამახვილა ყურადღება, თუმცა დასძინა, სენსიტიური თემაა და ვიდრე ხელისუფლებაში არ არის, დამატებით ვერაფერს იტყოდა. მისი აზრით, პრეზიდენტი იმედდამბრუნებელი უნდა გახდეს. ასევე, არა ვეტომდებელი, არამედ იდეამდებელი უნდა იყოს. "იდეების გენერატორის" შთამომავალიც პრეზიდენტობის შემთხვევაში უამრავი იდეის განხორციელებას დაჰპირდა მხარდამჭერებს.

"წლების წინ, ერთ-ერთი ღონისძიების დროს, მინახავს, ამ სახლ-მუზეუმში სიხარულის გულწრფელი ცრემლებით როგორ ტიროდა ქალბატონი სალომე. მე მას პატივს ვცემ და გამარჯვებას ვუსურვებ". _ ამბობს დიდ ჯიხაიშელი ნატო დიდიძე.

"მხარს ვუჭერ სალომე ზურაბიშვილს. სპეციალურად ჩამოვედი თბილისიდან. თუკი ჩვენ ევროპისკენ ვიხედებით, სალომე არის ევროპული აზროვნების ქალბატონი, ევროპაში გაზრდილი, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული. სალომეს და მის ოჯახს დიდი ხანია ვიცნობ. მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი საუკეთესოა, გახდეს საქართველოს პრეზიდენტი. მართალია, პრეზიდენტს შეზღუდული უფლებები აქვს, მაგრამ არ უნდა შეიზღუდოს, ბევრი ექნება გასაკეთებელი." _ თქვა ჩვენთან საუბარში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა.

მსახიობი და რეჟისორი ირაკლი აფაქიძეც დიდი ხანია იცნობს ქალბატონ სალომეს. აღნიშნა: "პატივს ვცემ და ვფიქრობ, ეს ის ადამიანია, სიკეთის გაკეთება რომ შეუძლია ჩვენი ხალხისთვის და ქვეყნისთვის. რაც არ უნდა შეზღუდული იყოს პრეზიდენტის უფლებები, პრეზიდენტი მაინც პრეზიდენტია. ეს არის ინსტიტუტი, რომელიც ხალხის მიერ არის არჩეული და აქვს მაღალი ლეგიტიმაცია ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, კუთრითი წონა ამ ძალისა, უნდა იყოს დიდი. გააჩნია ადამიანს და პიროვნებას, როგორ გამოიყენებს თავის უფლებებს. მე მგონი, ქალბატონი სალომე სწორად გამოიყენებს." _ აღნიშნა მან.

სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად ოზურგეთიდან გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ქალთა დახმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლელა ნაცვალაძეც ჩამოვიდა. "რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერ ქალბატონ სალომეს და მთელი ოზურგეთიც ყველაფერს გააკეთებს, რომ მან მნიშვნელოვანი შედეგი დადოს არჩევნებში. პირველ რიგში, ქალები უნდა ვიყოთ გადაწყვეტილების პროცესში ჩართული. პრეზიდენტი ქალი ძალიან დიდ ნაბიჯებს გადადგამს მსოფლიო მასშტაბით." _ გვითხრა მან.

მხარდამჭერებს შორის მსახიობი ვანო იანტბელიძეც იმყოფებოდა. "ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ ქალბატონი სალომესი." _ აღნიშნა ბატონმა ვანომ. მიმაჩნია, რომ მისი გამოცდილება, მისი ისტორიული ფესვები და ღირსება გამოადგება ჩვენს ქვეყანას. ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩეველი იყო, ჩვენთან _ საგარეო საქმეთა მინისტრი. როგორც პიროვნება, როგორც მოქალაქე, სისხლით, ხორცით ქართველი და ევროპელი, ქვეყანას წაიყვანს ევროპისკენ. მისი ყველა ქმედება სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, ყველა ადამიანისთვის, ვისაც ევროპული ხედვა აქვს და მიდის საითაც სინათლეა."

"მეც ნიკოლაძე ვარ", _ გვეუბნება ქალბატონი ლალი. _ "17 წელია პარიზში ვცხოვრობ. საქართველოში პირველად ჩამოვედი. ჩემი შვილიც, პარიზში დაიბადა. მე ახლო ურთიერთობა მაქვს სალომე ზურაბიშვილის ოჯახთან. ქალბატონ ზეინაბს ვიცნობდი კარგად. საფრანგეთში ხანდაზმულთა სოციალურ პროგრამებზე ვმუშაობ. დამირეკა ქალბატონმა სალომემ ქუთაისში და გამაგებინა, აქ რომ მოდიოდა. მე მას ვუჭერ მხარს."

მწერლისა და ჟურნალისტისთვის, ვახტანგ ახობაძისთვის მნიშვნელოვანია, რომ სალომე ზურაბიშვილმა საარჩევნო კამპანია თავისი მამა-პაპისეული ადგილიდან დაიწყო. ამბობს, რომ ამით ხალხს ახსენებს, როგორი გენეტიკური მემკვიდრეობა აქვს. ის ძალიან კარგად იცნობს ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებას. ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილებაა, საარჩევნო მარათონის აქედან დაწყება."

რაღვან დროული სამედიცინო ჩარევა ჯანმრთელობის გარანტიაა

თეა ბაბუნაშვილი

ის საკლასო ოთახები, მალე სექტემბერი რომ აახმიანებს, სულ ერთი დღით სახელდახელო სამედიცინო ''კლინიკებად'' იქცა. გომის საჯარო სკოლის ვესტიბიული და პირველი სართული სკოლის წლებს კარგა ხნის წინ გამოთხოვებული ადამიანებით გახლდათ სავსე. ''ჯეო ჰოსპიტალსმა'' კიდევ ერთხელ გამოიჩინა კეთილი ნება და როგორც სხვა არაერთ შემთხვევაში, უფასო სამედიცინო გამოკვლევებზე ამჯერად გომის თემის მოსახლეობა მიიწვია. მსურველებს საშუალება ჰქონდათ თერაპევტის, კარდიოლოგის, ქირურგის, პედიატრის, ოტორინოლარინგოლოგის, ნევროპათოლოგის, უროლოგის, ტრავმატოლოგის კონსულტაციები, ექოსკოპიული და კარდიოლოგიური გამოკვლევები უფასოდ ჩაეტარებინათ. როგორც შპს ''ჯეო ჰოსპიტალს'' სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი ლელა ხურციძე აცხადებს: ''ჯეო ჰოსპიტალსის მიერ მოწყობილი ამგვარი აქცია არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება. გარკვეული პერიოდის წინ დიდ ჯიხაიშლებს ჰქონდათ ამგვარი შესაძლებლობა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამჯერადაც რამდენიმე პაციენტი გამოვლინდა, რომლებისთვისაც მათი დიაგნოზი მოულოდნელი აღმოჩნდა და ოპერაციული ჩარევაა საჭირო, შეიძლება ითქვას, ამგვარი აქციები აუცილებლობასაც კი წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ხშირ შემთხვევებში დროული სამედიცინო ჩარევა შემდგომი ჯანმრთელობის გარანტიაა. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვა ეფექტურად მუშაობს, ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოფლის ექიმი, უფასო ამბულატორიული მომსახურება, მაინც ნაკლებად მიმართავს საზოგადოება სამედიცინო პერსონალს. არადა, შეუძლიათ ამ ჩამოთვლილ მომსახურებასთან ერთად მომართონ სამტრედიის ამბულატორიულ ცენტრს, სადაც მეორე დონის გამოკვლევები უფასოდ, ან შესაბამისი პროგრამის გათვალისწინებული თანაგადახდის კომპონენტებით აქვთ. თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მომართვიანობა ამგვარ აქციებზე გაცილებით მეტია.''

საშუალოდ 150-200 პაციენტი ''ჯეო ჰოსპიტალსის'' მიერ მოწყობილი თითქმის ყველა აქციის შედეგია. კარდიოლოგი ნუნუ აბრამია იმ დღეს მასთან საკონსულტაციოდ მისული ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით აცხადებდა, რომ: ''როგორც ჩანს, პირველადი ჯანდაცვის რგოლი კარგად მუშაობს. არ გვქონია რამე განსაკუთრებული კვლევის საჭიროება. მხოლოდ ერთი ქალბატონი გავუშვით გამოკვლევაზე და ერთს ოპერაციის შემდგომი კვლევა დასჭირდა. ბუნებრივია, ეს ძალიან სასიამოვნოა.'' განსაკუთრებული ჩარევა არც ნევროპათოლოგიური კუთხით აღმოჩნდა საჭირო. ამას ნევროპათოლოგი გურამ მშვიდობაძე ადასტურებდა.

მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია ''ჯეო ჰოსპიტალს'' სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის დირექტორი ირაკლი ლაღიძის ინიციატივაზე საუბრობდა: ''მადლობა ბატონ ირაკლის ამ ინიციატივისთვის. როცა მოგვმართა, ჩვენ სამტრედიის მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდი გომის თემი შევთავაზეთ. რამდენიმე საოპერაციო პაციენტი გამოავლინა გამოკვლევებმა. თუ ეს საჭირო იქნება, მოსახლეობამ იცის, რომ მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება გადაუდებელი ოპერაციების დაფინანსებაში პაციენტებს. ჯანმრთელობას ვუსურვებ ყველა ადამიანს, თუ ჩვენი დახმარება დასჭირდებათ, შესაძლებლობის ფარგლებში ვეცდებით ვეიმედებოდეთ მათ.''

იმ დღეს კიდევ ერთი უფასო სამედიცინო გამოკვლევების აქცია გაიმართა სამტრედიაში. იგი აფხაზეთის მთავრობის ინიციატივით აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის მოეწყო. ამიტომ ''ჯეო ჰოსპიტალს'' სამტრედიის ამბულატორიულ სამედიცინო ცენტრში არა მხოლოდ სამტრედიაში, მის მახლობელ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები დევნილები გახლდნენ ჩამოსული. როგორც სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის ხელმძღვანელი ლუარა კახიანი აცხადებს, ეს სამედიცინო დაწესებულება მხოლოდ მასპინძლის როლში გახლდათ, დედაქალაქიდან ჩამოსული სპეციალისტები, მათ მიერვე ჩამოტანილი აპარატურით ატარებდნენ სამედიცინო კვლევებს. იმ დღეს დევნილებს აფხაზეთის მთავრობის მეთაურ ვახტანგ ყოლბაიასთან პირადად შეხვედრის და გასაუბრების საშუალებაც ჰქონდათ. რაც შეეხება სამედიცინო აქციას, როგორც ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა: ''ამგვარი აქცია ერთჯერადი არ გახლავთ, მომავალშიც მიეცემათ დევნილებს შესაძლებლობა, უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაიტარონ. იმ პროგრამების გარდა, რასაც დევნილებს საქართველოს მთავრობა და ჯანდაცვის სამინისტრო უფინანსებს, აფხაზეთის მთავრობაც სთავაზობს დახმარებას.'' აღსანიშნავია, რომ სამედიცინო ჩარევის გარდა, აქციის ფარგლებში მათ გარკვეული მედიკამენტები უფასოდ გადაეცათ. დაავადებათა კონტროლის ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი გოჩა გიორგიძე აკონკრეტებს, რომ ''დაავადებათა კონტროლის ცენტრი აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად უერთდება აქციას C ჰეპატიტისა და შიდსის სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში. ეს უკვე ტრადიციადაც კი იქცა, გამომდინარე იქიდან, რომ ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ. სხვასთან ერთად მსურველები ამ დაავადებებზეც იკეთებენ გამოკვლევებს.''

ორივე შემთხვევაში, ''ჯეო ჰოსპიტალსისა'' და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ უფასო სამედიცინო აქციებზე გამოკვლევები 500-ზე მეტმა ადამიანმა ჩაიტარა. გარდა იმისა, რომ ისინი მადლიერებას გამოთქვამდნენ აქციების ორგანიზატორების მისამართით, მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, რამდენჯერმე გადაუხადეს მადლობა გარკვეული დახმარებების, ან გარკვეული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების გამო. მისგანაც საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენის პირობა კვლავაც მიიღეს.

საზოგადოებრივ შენობებში ენერგოეფექტურობის ასამაღლებლად

ნინო ნანიტაშვილი

17 სექტემბერს საალმზრდელო პროცესი დაიწყება ბაღებისა და ბავა-ბაღებისთვის. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება 2018-2019 სასწავლო წელს მომზადებული ხვდება. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალური სარემონტო სამუშაოები არც ერთ საბავშვო ბაღში არ ჩატარებულა, 24-ვე სკოლამდელი დაწესებულება მზად არის მიიღოს ბავშვთა კონტინგენტი.

''სამტრედიის მაცნე'' ამ დღეებში დაუკავშირდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილეს. მარინა შენგელიამ იმ პროექტზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია და განხორციელების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებებს გათბობის პრობლემას მოუხსნის.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ უკვე შეავსო ცხრილი, რომელშიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის ქალაქის ბაღების შენობების მდგომარეობის მონაცემები ჩაიდო.

საქართველოს მთავრობის ევროკომისიასთან კონსულტაციების შემდეგ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) და გერმანიის ფინანსური განვითარების ბანკმა (KFW) წამოიწყეს ერთობლივი საინვესტიციო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივ შენობებში ენერგოეფექტურობის ამაღლებას ეკონომიკურად და ტექნიკურად მიზანშეწონილ ღონისძიებებში.

ბრიტანულ კომპანია ''ეკოსთან'' ერთად ენერგოეფექტურობის ცენტრს დაევალა ზემოაღნიშნული პროგრამისათვის საზოგადოებრივი შენობების მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც შენობის ფიზიკურ მახასიათებლებთან ერთად უნდა აისახოს ინფორმაცია მათი ენერგომოხმარების შესახებ.

ვინაიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტი ფლობს და ექსპლუატაციას უწევს სხვადასხვა დანიშნულების მქონე საზოგადოებრივი შენობების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომელშიც ენერგოეფექტური ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვანი ეკოლოგიური, სოციალური და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციის გაუმჯობესების განმაპირობებელია, ენერგოეფექტურობის ცენტრმა მიმართა წერილობით სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ვალერიანე ფოცხვერიას, დაევალებინა სხვადასხვა სამსახურებისთვის, შეევსოთ მონაცემთა ბაზისთვის შემუშავებული ცხრილი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას 17 აგვისტოსთვის ეს უკანასკნელი მზად ჰქონდა.

მარინა შენგელია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მოადგილე: ''მერის მოთხოვნის საფუძველზე შევავსეთ შენობის საბაზო მონაცემები. ქალაქის ტერიტორიაზე 10 საბავშვო ბაღი გვაქვს, სადაც აღსაზრდელებს შეშის ღუმელებით ვათბობდით. პროექტის განხორციელების შემთხვევაში ჩვენს ბავშვებს ექნებათ უკეთესი პირობები აღზრდისა და ჯანმრთელობისათვის''.

ახალი სასწავლო წლის შესახვედრად

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 35 საჯარო და 2 კერძო სკოლა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა წელს 17 სექტემბერს დაიწყება. უკვე შემოტანილია პორტატული კომპიუტერები პირველკლასელებისა და კლასის დამრიგებლებისთვის, ასევე, საკლასო ჟურნალები.

სახელმძღვანელობი მოსწავლეებს წელსაც უფასოდ დაურიგდებათ. უკვე გაცემულია მე-7, მე-12 კლასების სახელმძღვანელები. საგანმანათლებლო რესურსცენტრში ამ ეტაპზე I-IV კლასების ახალ სახელმძღვანელოებს ელოდებიან.

დღევანდელი მონაცემებით სამტრედიის საჯარო სკოლებში I და II ეტაპზე 544 პირველკლასელია დარეგისტრირებული. შესაბამისად, 544 პორტატული კომპიუტერია შემოტანილი. 29 პორტატული კომპიუტერი 29 კლასის დამრიგებელს გადაეცემა.

I-IV კლასების სახელმძღვანელოები 22 500 ცალით განისაზღვრა.

საჯარო სკოლები ახალ 2018-2019 სასწავლო წელს მომზადებული ხვდება. ამ ეტაპზე დაბა კულაშის საჯარო სკოლაში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. ძირითადი ნაწილი, მშენებლების თქმით, სასწავლო წლის დასაწყისისთვის დასრულებული იქნება.

მოსწავლეებისათვის სასკოლო ტრანსპორტით მომსახურება კვლავ გაგრძელდება. მას ამჯერადაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტო უზრუნველყოფს. შეგახსენებთ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში 23 საჯარო სკოლას სასკოლო ტრანსპორტი ემსახურება.

2018-2019 სასწავლო წელი იმითაც იქნება განსხვავებული, რომ სამტრედიის საჯარო სკოლებს ლიდერობის აკადემიის ეგიდით მილენიუმის პროგრამით გადამზადებული სკოლის დირექტორები უხელმძღვანელებენ.

ალექსანდრე თევზაძე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი: ''ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ კვლავ გრძელდება საჯარო სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამა, რომელზეც მე ვახორციელებ მონიტორინგს. ამ პროგრამის მოქმედებამ ხელი შეუწყო სკოლებში მოსწავლეთა დასწრების გაუმჯობესებას. ჩვენთან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 23 საჯარო სკოლას ემსახურება სასკოლო ტრანსპორტი. სკოლაც მადლიერია, მოსწავლეცა და მშობელიც''.

ნინო ნანიტაშვილი

ჩვენები

როდესაც ხდობის ფაქტორი არსებობს ადამიანებში და, ზოგადად, სოციუმში, ფსიქოლოგი საჭიროა ალბათ არის

ქეთევან ჭელიძე

მისი თავგადასავალი კარგი წიგნის, ან, თუნდაც, ფილმის სიუჟეტს ჰგავს, თუ როგორ აღწევს მიზანდასახული ახალგაზრდა თავისი ოცნებების რეალობად ქცევას. უსმენ და ხვდები, გარეგნულ მშვენიერებასთან ერთად უფალს მისთვის ნიჭიც უხვად მიუცია. ეს ლიმილიანი, საინტერესოდ მოსაუბრე, თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, მოსკოვის მიხეილ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნატალია ვაშაკიძეა. წარმოშობით იგი დიდი ჯიხაიშიდანაა, ამიტომაც მოვიწვიეთ სტუმრად რუბრიკაში "ჩვენები".

კარგი ბებია-პაპუა მყავდაო, ამბობს და მათი გარდაცვალების შემდეგაც გული აქეთ მოუწევს, ყოველ ზაფხულს სტუმრობს თავის სოფელს. დიდ ჯიხაიშს სიზმარშიც რომ ხშირად ხედავს, ამაშიც გვარწმუნებს.

ქალბატონი ნატალია 12 წელია მოსკოვში ცხოვრობს. მისი მეუღლე რამინ ჯანგიძე მოსკოვის ერთ-ერთ ფირმაში იურისტად მუშაობს. მათ ორი შვილი, მარიამი და რომა ჰყავთ. ბავშვები პეტერსონის სახელობის მათემატიკურ სკოლაში სწავლობენ. უფროსი მარიამი მოსკოვის "ფეშენ ვიკშიც" იღებს მონაწილეობას. ნატალია ვაშაკიძე, გარდა იმისა, რომ უნივერსიტეტში საჯარო სამართალში კითხულობს ლექციებს, საქართველოს პირობებში ოჯახის ფსიქოლოგის თემაზეც მუშაობს. ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებშიც აქტიურად აქვეყნებს პუბლიკაციებს. ასევე, დაინტერესებულია არასრულწლოვანთა საკითხებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო საკითხზე მისი დაწერილი თემა მოიწონა ჯეფერსონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯონ ქლერმა და ლომონოსოვის უნივერსიტეტიდან სხვა 25 მეცნიერთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში სასწავლებლად ისიც გაგზავნეს.

თავისი ქვეყანა და სჯერა საქართველოს გამთლიანების. ცდილობს, მისთვის რაიმე სასარგებლო გააკეთოს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ცხოვრება აქვს, სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებობს. ფანატიკოსი არ ვარო, ამბობს, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველაფერი ღმერთის ნებით რომ ხდება, ამის ღრმად სწამს.

უფრო დაწვრილებით ამ და სხვა საკითხებზე ქალბატონი ნატალიას საგულისხმო მოსაზრებებს ინტერვიუში შემოვთავაზებთ.

- ქუთაისში დავიბადე და გავიზარდე. 38-ე საშუალო სკოლა დავამთავრე. შემდეგ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. პირველი კურსიდან ქუთაისის პროკურატურაში პოლიციის საზედამხედველო განყოფილებაში პრაქტიკანტად ვიმყოფებოდი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ოფიციალურად დავინიშნე პროკურორის თანაშემწედ. 2001 წელს გადავედი თბილისში საცხოვრებლად და მეცნიერულ მუშაობას მივყავი ხელი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვკითხულობდი სამართლის ეთიკას, საოჯახო და ასევე, შრომის სამართალს. დაქორწინების შემდეგ მოსკოვში მომიწია გადასვლა. რაციონალური ქალი ვარ. სახლში ჯდომას ვერ შევეგუებოდი და გადავწყვიტე, სამეცნიერო მუშაობა გამეგრძელებინა. ბავშვობის ოცნება იყო, ლომონოსოვის უნივერსიტეტში ჩამებარებინა. ობიექტური მიზეზების გამო მაშინ ეს ვერ მოვახერხე, მაგრამ 29 წლის ასაკში უფალმა ჩემი ოცნების ახდენის საშუალება მომცა. თავიდან რუსულად ვერ ვსაუბრობდი. მოვემზადე ქალბატონთან, რომელიც ბაუმანის სახელობის ტექნიკურ უნივერსიტეტში ასწავლიდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ის თვითონვე წამყვა ლომონოსოვის უნივერსიტეტში. პირველად უარი მითხრეს. უფრო ენის ბარიერის გამო. თანაც, ასპირანტურაში ჩაბარება მინდოდა და არ მყავდა მეცნიერ-ხელმძღვანელი. საერთოდ, მაქსიმალისტი ვარ. ერთი კარიდან რომ გამიშვებენ, ქუდს არ ვიხურავ. მესამე დღეს ორი ბოთლი ხვანჭკარა ჩავიდე ჩანთაში და წავედი. გზაც არ ვიცოდი უნივერსიტეტამდე და ჩემი ყოფილი სტუდენტი გოგონა დამყვებოდა. შენობას ირგვლივ შემოვუარე. იქ ჩიტიც ვერ გადაფრინდება. ამ დროს სტუდენტებისათვის კაფეში ფუნთუშეული მოიტანეს. მძღოლს ვუთხარი, დაგეხმარებით-მეთქი. ჯერ გაკვირვებით შემომხედა, მერე დამთანხმდა. მერვე სართულზე ავედი. ქალბატონთან მივედი, რომელიც უცხოელ ასპირანტთა ჯგუფს კურირებდა. ღვინო ვაჩუქე და ვკითხე, რა საბუთები იყო საჭირო. მან ფურცელი გადმომცა. გახარებული წამოვედი. როცა საბუთები მოვამზადე, მეუბნება, მე თქვენ არ მახსოვხართო. კარგი, იქნებ მე არ გახსოვართ, მაგრამ ნუთუ ხვანჭკარა არ მოგეწონათ-მეთქი, _ ვუთხარი. იმდენი იცინა ამ ქალმა!.. და შედგა ჩვენი კომუნიკაცია. საჭირო გახდა, თემის ხელმძღვანელი მომეძებნა. მეექვსე სართულზე ერთ-ერთ კარზე ვკითხულობ: "სურენ ედიბეკოვიჩ ავაკიან - საკონსტიტუციო და მუნიციპალური სამართლის კათედრის გამგე". კაბინეტში შესულს დიდსათვალიანი კაცი დამხვდა. ვიცი, რომ უკვე მასზეა დამოკიდებული ყველაფერი, რადგან მანამდე სამმა მეცნიერმა უარი მითხრა (არავის სჯერა, ამ ისტორიის. ბევრს ჰგონია, რომ ზღაპარს ვყვები). მკითხა, რით ვიყავი დაინტერესებული. პრეზიდენტის ინსტიტუტით-მეთქი. მიუღებელი იყო ჩემთვის მაშინდელი აბსოლუტური საპრეზიდენტო მმართველობა საქართველოში. მოეწონა ჩემი სუბიექტური მოსაზრებები და მითხრა, დამიწერეთ რეფერატი და თუ მომეწონება, ასპირანტად აგიყვანთო. ავედი ისევ მერვე სართულზე და თამარა "ვიქტორიევნას" (ასე ერქვა იმ ქალბატონს) ვუყვები, რაც მოხდა. ჯერ გაკვირვებული მიყურებდა, მერე მკითხა, თქვენ თუ იცით, ეს კაცი ვინ არის? ელცინის დროს რომ ცვლილებები შევიდა საკონსტიტუციო სამართალში, მისი ავტორიაო. რუსეთის კონსტიტუციის მამა გახლავთ ეს ადამიანი და უფალმა მასთან მომახვედრა. გაოცებული დავრჩი. დავწერე რეფერატი და ისევ ჩემი რუსულის გამო ველოდები 3-იანს. ის კი მეუბნება, თუ 4-ზე არა ხართ თანახმა, მაშინ შეგიძლიათ, კომისიაზე გახვიდეთო. თემის სათაური იყო "პარლამენტი და მისი შედარებითი ანალიზი". ჩავირიცხე.

ნატალია ვაშაკიძე და რომა

2007 წელს, როცა ერთბაშად თვითმფრინავებში სვამდნენ ქართველებს და საქართველოში უშვებდნენ, ჩვენს სტუდენტებს არ ჰქონდათ უნივერსიტეტებში სიარულის უფლება, იმ დროს მოვიდა ერთადერთი მოწვევა და ეს ჩემი იყო. მანამდე ქალბატონს, რომელიც ადმინისტრაციაში მუშაობდა, დავურეკე და ვთხოვე, გაერკვია, იყო თუ არა მოწვევა ჩემს სახელზე. მითხრა, რომ კურიერის საშუალებით შეეძლო იგი ჩემთვის სახლში გამოეგზავნა, მაგრამ დასძინა, მინდა დაგინახო, როგორი ხარ, ასეთი რამ ჯერ არ მომხდარაო. ეს შემთხვევით არ აღვნიშნე, ასეთი იყო უფლის ნება.

საქართველოში არის ერთ-ერთი შავი ბერი, ნიკოლოზ მაქარაშვილი, რომელთანაც ადრე ნამყოფი ვიყავი. მაშინ მან მიწინასწარმეტყველა, რომ ჩემი ოცნება ასრულდებოდა. ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც მამა ნიკოლოზმა მითხრა. უფლის, მამა ნიკოლოზისა და ჩემი მამა გაბრიელის შემწეობით ყველაფერი შევძელი. არ ვარ ფანატიკოსი და მატყუარა, ეს იყო უფლის დახმარება.

- თქვენ დაინტერესებული ხართ ოჯახის ფსიქოლოგის ინსტიტუტის შექმნით. რატომ გაგიჩნდათ მისი შექმნის იდეა და თქვენი აზრით, რა უპირატესობა აქვს მას?

მარიამი

- მინდა, საქართველოში დამკვიდრდეს ოჯახის ფსიქოლოგის ინსტიტუტი. არიან სოციალური მუშაკები, მაგრამ ოჯახის ფსიქოლოგს სულ სხვა დატვირთვა აქვს. დღევანდელმა სოციალურმა და ეკონომიკურმა პირობებმა განაპირობა ის, რომ ოჯახიდან წასულიყვნენ დედები, რომლებიც არსებით როლს ასრულებენ შვილების აღზრდაში. ამჯერად მხოლოდ ვირტუალური ურთიერთობა აქვს დედასა და შვილს. ბავშვები იზრდებიან ან ძიძებთან, ან ბებიებთან და ბაბუებთან. თაობათა ბრძოლა ყოველთვის იყო და ხასიათების შეუთავსებლობა ყოველთვის არსებობს. ასეთ დროს, ბავშვი ვერ ახერხებს ოჯახში თავისი თავის რეალიზებას. არ ჰყავს დედა, ვისაც შეიძლება გაეხსნას, ვერ ენდობა მეგობარს, ქუჩაში ეძებს გამოსავალს და, სამწუხაროდ, სავალალო მდგომარეობაში ხვდება. გარდატეხის ასაკს ფსიქოლოგები "მეორედ დაბადებას" ეძახიან. ყველანაირად იცვლება ადამიანი, როგორც ფიზიკურად, ასევე მსოფლმხედველობითაც. ფსიქოლოგია არის მეცნიერება სულის შესახებ. თუ ჩვენ ამ ბავშვებს შინაგან სამყაროს, სულიერ მდგომარეობას მოვუწესრიგებთ, ბევრად უფრო დიდ შედეგს მივიღებთ. თუ ოჯახის ფსიქოლოგის ინსტიტუტს შემოვიღებთ, უფრო გაუადვილდებათ ბავშვებს მშობლებთან ურთიერთობა. საუბარია ისეთ სიტუაციაზეც, როცა შეიძლება მშობელი ჰყავდეს, მაგრამ ანალოგიური ვითარება მაინც არსებობდეს. ისევ ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მშობელი წასულია, რომ იმუშაოს. იმდენად დაღლილი მოდის, ენერგია არა აქვს და ვერც გაამტყუნებ, თუკი შვილთან კომუნიკაციისთვის დრო არ რჩება. პრობლემა იწყება ძირიდან, ე. ი. ოჯახიდან. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია სკოლა, გარემო, მაგრამ სასურველია, იმუშაოს ოჯახის ფსიქოლოგის ინსტიტუტმა, პარალელურად შევიდეს ცვლილება განათლების სიტემაში. დღეს ყველაფერი ფასიანი გახდა. მე რომ ვიყო, ჩემს სუბიექტურ აზრს მოგახსენებთ, იმ ცეკვისა თუ სპორტის მასწავლებელს, რომელიც მოსწავლეების მიერ გადახდილი თანხით იღებს ხელფასს, გავუზრდიდი ანაზღაურებას და უფრო მეტ გაკვეთილს ჩავატარებინებდი, რომ ბავშვები უფრო მეტად რეალიზებულები გახდნენ. ბევრს არა აქვს საშუალება, იაროს ფეხბურთზე, ხატვაზე. არ გვაქვს უფლება, ტალანტები დავკარგოთ.

ისევ ოჯახის ფსიქოლოგთან დაკავშირებით - მაგალითად, ნარკომანია არის ცუდი და ეს ძალიან კარგად უნდა მივიტანოთ ბავშვთან. როდესაც ხდება დოკუმენტური ფილმის ჩვენება, არასრულწლოვანი უყურებს, ნარკოტიკების მოხმარება თუ რა სავალალო მდგომარეობით მთავრდება. ამ ფილმის ანალიზის შემდეგ ფსიქოლოგმა თუ მასწავლებელმა უნდა გაკეთოს ჩანიშვნები თითოეულ ბავშვზე. შეიძლება მან ვერ გაითავისოს, რა ხდება, მაგრამ ქვეცნობიერში აუცილებლად რჩება. როცა სახლში ბრუნდება, ფიქრობს ამაზე. უკეთესი აღმზრდელობითი ღონისძიებებისათვის საჭიროა, სკოლებშიც ჩატარდეს ტრეინინგები. დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანის გადარჩენა შეიძლება, თუ შემოვიღებთ ოჯახის ფსიქოლოგის ინსტიტუტს. ვთქვათ, თქვენ ვერ ახერხებთ ურთიერთობას ბავშვთან, რასაც ცოდნა სჭირდება, შეიძლება მშობელი ინტელექტუალი იყოს, მაგრამ ვერ ფლობდეს ურთიერთობის ტაქტიკას, იმა-

ამერიკაში ჯეფერსონის უნივერსიტეტში ყოფნის დროს

ღვთისმშობლის მიძინება

მთავარანგელოზმა გაბრიელმა ახარა მარადქალწულ მარიამს მისი ამქვეყნიური არსებობის დასასრული.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს არ მოელოდა მოკვდავთა ხვედრი. იგი მაშინვე ღმერთთან ახლოს უნდა დამკვიდრებულიყო. მას უნდა მიეძინა.



წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა დედა ღვთისა, გამოსამშვიდობებლად მოუწოდა მაცხოვრის მოწაფე მოციქულთ, ყველა მაშინვე ეახლა გარდა თომასი, რომელიც იმ დროს შორეულ ქვეყნებში ქადაგებდა ახალ აღთქმას.

მოციქულებმა იხილეს ნეტარი მიძინება მარადქალწულისა.

ქრისტემ ანგელოზთა მიერ ზეცად აღიტაცა მისი სული.

მოციქულებმა გეთსამანიის ბაღში განუსვენეს მარიამის სხეული.

მესამე დღეს იერუსალიმიდან დაბრუნდა თომა. მან მოინდომა სამარეში თაყვანი ეცა ღვთისმშობლისათვის. გახსნეს აკლდამა და ნახეს, რომ მხოლოდ სამოსელი დარჩენილიყო. დედა ღვთისა ზეცად ამაღლებულიყო.

28 აგვისტოს (ძველი სტილით 15 აგვისტო) აღნიშნავს ეკლესია ღვთისმშობლის მიძინებას.

ამ დღეს მოქმედ ტაძრებში შესაბამისი მსახურება აღევლინება.

ლევან გაგნიძე

და ამს ცაძარი შეუნიერ

კომუნისტური რეჟიმის პირველ წლებში ეკლესია-მონასტრების ნგრევასა და [illegible]ების დევნა-შევიწროების ყოვლად გაუმართლებელ პროცესებს ვერც სოფელი იანეთი და იანეთლები გადაურჩნენ.

ადგილობრივი მკვიდრის, მეცენატ **აკაკი ლეკვეიშვილის ძალებით** 2003 წლის 19 ივლისს, სოფელში წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი გაიხსნა, რომელიც მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა, მიტროპოლიტმა მეუფე საბამ აკურთხა, თანამწირველობდნენ მეუფე გერასიმე, მეუფე თეოდორე და მეუფე სტეფანე.

ტაძარი, რომლის ავტორი არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილია, ჯვარგუმბათოვანია, აგებულია ხანდების ქვით, სამრეკლო კი ეკლარის ქვით.

ტაძრის პირველი წინამძღვარი გახლდათ დეკანოზი იაკობი, რომელმაც დროის მცირე მონაკვეთში დაიმსახურა თანასოფლელთა პატივი და სიყვარული. იგი ტაძრის ეზოშია დაკრძალული.

ამჟამად ტაძრის წინამძღვარია მღვდელი შიო (კოხრეიძე).

ტაძარში წლების წინ მსოფლიო პატრიარქთან ერთად ბრძანდებოდა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორეც.

15 წელი გავიდა იანეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის კურთხევიდან.

ლევან გაგნიძე

ხებ ოჯახის ფსიქოლოგს და დროთა განმავლობაში ამას ის აგვარებს.

რატომ არის ამდენი ბავშვი დაინფიცირებული? იმიტომ, რომ კომუნიკაციის პრობლემა აქვთ. მე ამ სისტემაზე ვმუშაობ. ამ საკითხებთან დაკავშირებით მქონდა შეხვედრა პარლამენტში ქალბატონ ნინო კილაძის თანაშემწესთან. ვესაუბრე და მითხრა, დაგიკავშირდებითო.

- ამ თვალსაზრისით რა მდგომარეობაა რუსეთში?



ნატალია ვაშაკიძე და რამინ ჯანგიძე

- იქ ოჯახის ფსიქოლოგი არ სჭირდებათ, რადგან მდგომარეობა შედარებით მოწესრიგებულია. საჭიროებისამებრ შეიძლება დარეკო და უფასო მომსახურება მიიღო. თუ ტელეფონით არ ენდობი, შეგიძლიათ მიხვიდეთ, პოლიკლინიკაში ან სადმე სპეციალურ დაწესებულებაში და მოითხოვოთ უფასო დახმარება.

- თქვენ სასწავლო კურსით იმყოფებოდით ამერიკაში და პრაქტიკა გაიარეთ ციხეშიც. შეგიძლიათ, შეადაროთ ჩვენთან არსებული სიტუაცია იქაურ მსჯავრდებულ მოზარდთა მდგომარეობას?

- დიახ, კალიფორნიაში, სან-დიეგოში გავიარე ნ-თვიანი სწავლება. ვნახე რა პირობებში იმყოფებიან იქაური არასრულწლოვანი დამნაშავეები. იქ უფრო უკეთესი აღმზრდელობითი ღონისძიებები ტარდება, ინდივიდუალურად მუშაობენ ფსიქოლოგები. ამ მხრივ შვედეთიც ძალიან კარგია, მაგრამ ყველაფერს ვერ გადმოიღებ. კანონი უნდა იწერებოდეს თვითონ იმ ქვეყნის სოციუმის ფსიქოემოციური ფონის მიხედვით. ამერიკაში მე რაღაც მომეწონოს და გადმოვიტანო, ეს არ შეიძლება. ჩვენ უნდა ჩვენი დავწეროთ. მოსკოვში მოღვაწე ფსიქოლოგი, თუნდაც, ამერიკაში მცხოვრები, ვერ გაუგებს ქართველს იმიტომ, რომ ყველა ერს თავისი გენეტიკური კოდი აქვს, რომელიც განისაზღვრება ჩვენი ხასიათებიდან, ადათებიდან, ჩვეულებებიდან. ჩვენ უფრო ტრადიციულები ვართ. განსხვავება არსებობს ჩვენსა და რუსებს შორისაც. რაც აქ აკრძალულია, იქ ჩვეულებრივი მოვლენაა. უფრო მეტად თბილები ვართ, უფრო ვეხმარებით ერთმანეთს. როდესაც ნდობის ფაქტორი არსებობს ადამიანებში და, ზოგადად, სოციუმში, ფსიქოლოგი საჭირო აღარ არის. შენს პრობლემას სხვას რომ გაუზიარებ, ესეც ხომ თერაპიაა. ვმუშაობ ქალთა ძალადობის თემაზე, როგორ შეიძლება აღმოვფხვრათ იგი. რუსეთში ქალს იცავს კანონი. ჩვენი ტრადიციებიდან, გენდერობიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი ქალი არის ძალადობის მსხვერპლი და ამას არ აფიქსირებს. ყურადღებას აქცევს, თუ რას იტყვის სხვა. ან ქმრის ეშინია, ან კანონი ვერ იცავს. მე, როგორც პიროვნება, ვარ ლოიალური, მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი ვერ ვიქნები. ჩვენ რომ გვქონდეს მკაცრი კანონი, არ იქნებოდა ისეთი ფატალური შედეგები, როგორიც გვაქვს. დაზარალებულს ეშინია, მიმართოს პატრულს. იმიტომ, რომ არის წინაპირობები ისეთი, რომ ვერ გიცავს. ადამიანს მართავს კანონისადმი მორჩილება, შიში. ერთ ქალბატონს ჰყავდა მოძალადე ქმარი. მოიგეს "მწვანე ბარათი" და წავიდნენ ამერიკაში. ამ ქალმა თქვა, დავისვენეო. ცემა რომ დამიპირა, ქმარს ვუთხარი, არ შემეხო, თორემ პოლიციას დავურეკავ-მეთქი. ხელი უკან წაიღო. 15 წელია, მსხვერპლი ვარ. ამერიკიდან არ წამოვალ, რადგან, როგორც ქალი, აქ დაცულად ვგრძნობ თავს. ნაპოლეონი ამბობდა: "ადამიანს ორი მამოძრავებელი ბერკეტი აქვს, პირადი ინტერესი და შიში". ვფიქრობ, თუ კანონს გაამკაცრებენ, მივიღებთ შედეგს. სხვათა შორის, ჩატარდა კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იქნა ოჯახის დანგრევის სტატისტიკა. რუსეთში, მაგალითად, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება ანგრევს ოჯახებს.

- ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობა როგორ აისახება რუსებთან თქვენს ურთიერთობაზე?

- ჩემს კათედრაზე მე არანაირი შეზღუდვა არ მიგრძვნია. ის არის ჩემი მეორე სახლი. იქ მომუშავე ადამიანები კი ჩემი ოჯახის წევრები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ხელმძღვანელსა და მე სხვადასხვა პოლიტიკური ხედვა გვაქვს, დისერტაციაში შეზღუდვა არ მქონია. თემა მქონდა ისეთი, გინდა არ გინდა, პოლიტიკას ეხები. მაგრამ მას არასოდეს უთქვამს, არ მომწონს თქვენი ხედვაო. არც ბავშვებს აქვთ სკოლაში პრობლემები. ვარ ჩვეულებრივი მოქალაქე. სამსახურში არასდროს ვსაუბრობთ პოლიტიკაზე. ერთი შემთხვევა იყო ასეთი, როდესაც ერთ-ერთ ქალაქში ვიყავით და იქ ერთმა მღვდელმა მითხრა, რატომ გვეძახიან ქართველები ჩვენ ოკუპანტებს, აფხაზეთი ჩვენიაო. კონსტიტუციურადაც და ისტორიულადაც აფხაზეთი არის საქართველოსი და იქნება კიდეც. ვიმედოვნებ, რომ აუცილებლად აღსრულდება მამა გაბრიელის სიტყვები, რომ საქართველო გაერთიანდება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

- ნიკოფსიიდან დარუბანდამდის?..

- არ უნდა დაეჭვდეთ. რაც კაცისგან შეუძლებელია, ღმერთისგან არის შესაძლებელი. მამა გიორგი ბასილაძეს შვილი მოვანათლინე. მანაც ბევრი რამ იწინასწარმეტყველა. როცა ეკითხებოდნენ, თუ როგორ დავიბრუნოთ აფხაზეთიო, ის ამბობდა, ვერც რუსეთი, ვერც ამერიკა, ვერავინ დაგვიბრუნებს აფხაზეთს. მისი გასაღები არის საქართველოში. უნდა ვილოცოთ. მაინც უფლის ნებაა ყველაფერი. მე ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ. შინაგანი ხმა მეუბნება, რომ გავხდები საქართველოში რეალიზებული და სასიკეთო საქმეს გავაკეთებ ჩემი ქვეყნისათვის. მჯერა, რომ ქვეყნის სათავეში მოვლენ ეროვნულები. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ბევრჯერ უთქვამთ რუსებს (მრევლი მყავს მხედველობაში), რატომ მაინცდამაინც საქართველო აირჩია ღვთისმშობელმაო. იმიტომ, რომ ჩვენ განსაკუთრებული ხალხი ვართ. ნიჭიერი ქართველები მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულები. ერთადერთი საქართველოს კონსტიტუციაა, სადაც გათვალისწინებულია ჩვენი ტრადიციები. თუნდაც, ოჯახის ინსტიტუტი. აუცილებლად ეშველება ქვეყანას. ივერია გაბრწყინდება!

შინაარსიანი ზაფხულის გასატარებლად

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისთვის განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებითა და დაფინანსებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოეწყო საზაფხულო საგანმანათლებლო ბანაკები, სადაც 200-მდე სამტრედიელი მოსწავლე ისვენებდა. ანაკლიაქუთაისი, მანავი, კაჭრეთი, ხელვაჩაური სხვადასხვა პროექტში გამარჯვებულ ბავშვებს მთელი ზაფხულის განმავლობაში მასპინძლობდა. ხელვაჩაურში 2 ბანაკი ხელოვნებითა და ეკოლოგიით დაინტერესებული ბავშვებისთვის მუშაობდა. კაჭრეთი და მანავი მცირეკონტინგენტიანი სკოლების მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს მასპინძლობდა.

ქუთაისში რობოტექნიკის ბანაკი იყო, სადაც ამ მიმართულებით დაინტერესებულმა 18-მა სამტრედიელმა მოსწავლემ შინაარსიანად გაატარა ერთი კვირა.

ანაკლიამ სპორტული მიღწევების მქონე ახალგაზრდებს უმასპინძლა. სამტრედიელმა სპორტსმენებმა ზღვისპირეთშიც ისახელეს თავი და ფასიანი საჩუქრებით დაგვიბრუნდნენ.

ხელოვნებით დაინტერესებულთა ბანაკის მონაწილენი სექტემბერში გაემგზავრებიან ხელვაჩაურში, სადაც მათ დაუვიწყარი დღეები ელოდებათ.

ელიზა ცხვირავაშვილი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი:

''ვისარგებლებ ამ შემთხვევით და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მადლობას ვეტყვი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ზოგადი განათლების პროგრამების დეპარტამენტს. კარგად დაგეგმილი, მაღალორგანიზებული შემეცნებითი პროგრამებით დატვირთული საზაფხულო ბანაკების მოწყობისთვის, საიდანაც ჩვენი მოსწავლეები დაუვიწყარი შთაბეჭდილებებითა და დიდი მადლიერებით ჩამოდიან. ამ ბანაკებში სამტრედიელი ბავშვები დასვენებასთან ერთად იძენენ ახალ მეგობრებს, მონაწილეობენ სხვადასხვა შემეცნებით პროექტებში, გამდიდრებული ცოდნით, შესაბამისი სერტიფიკატებით, სიგელებითა და დიპლომებით უბრუნდებიან თავიანთ სკოლებს''.

შპრიცის გამოგონების ისტორიიდან

შპრიცი _ წარმოადგენს ღრუ ნემსის მქონე დგუშიან ცილინდრს (სამედიცინო ხელსაწყოს), რომლის მეშვეობითაც წამალი შეჰყავთ ორგანიზმში. ცნობილია, რომ ინტრავენური ინექციების გაკეთება პაციენტებისათვის, ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუა ნახევრიდან დაიწყეს მედიკოსებმა. თუმცა თანამედროვე სახე, რომლითაც დღესდღეობით ვიცნობთ მას, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, 1853 წელს მისცა ფრანგმა ექიმმ-ქირურგმა და ვეტერინარმა _ შარლ გაბრიელ პავანსმა (1791-1853 წლები) და შოტლანდიელმა მედიკოსმა _ ალექსანდრე ვუდმა (1817-1884 წლები). რაც შეეხება პირველ ერთჯერად შპრიცს, მათ გამოცემაზე პირველი პატენტები გაცემული იქნა 1949-1950 წლებში არტურ სმიტზე. თავდაპირველად, ერთჯერადი შპრიცები მინისგან მზადდებოდა. მათი მასობრივად წარმოება 1954 წელს განახორციელა კომპანია _ "Becton, Dickinson and Company"-მ. 1956 წელს მინისგან დამზადებული ერთჯერადი შპრიცები ჩანაცვლებული იქნა პლასტიკური მასალისაგან დამზადებული ერთჯერადი შპრიცებით. აღნიშნული გამოგონების ავტორი კი გახლდათ ახალ ზელანდიელი ფარმაცევტი _ კოლინ ალბერტ მიორდოკი (1929-2008 წლები).

Genia.ge



რკინაბეტონი

რკინაბეტონის კომპოზიტური მასალა, რომელიც შედგება რკინისა და ბეტონისაგან, 1867 წლის 16 ივლისს დააპატენტა ფრანგმა მებაღემ და გამომგონებელმა ჟოზეფ მონიემ (1823-1906). საყურადღებოა ის გარემოება, რომ მონიეს რკინაბეტონის კონსტრუქცია სამშენებლო დანიშნულებისათვის არ გამოუგონებია. მისი გამოგონების უმთავრესი მიზანი გახლდათ ის, რომ მებაღე ჟოზეფს თავისი ბაღის მცენარეებისათვის, რომლებიც თიხისა და ხისაგან დამზადებულ დიდ ქოთნებში ჰქონდა დარგული და ერთობ არაპრაქტიკულ საშუალებას წარმოადგენდნენ (განსაკუთრებით პალმის ხეებისთვის), შეექმნა ისეთი სახის მყარი მასალა, რომელიც დაზღვეული იქნებოდა როგორც დაზიანებისაგან, ასევე ლპობისაგანაც. მონიემ აღნიშნულ პროექტზე მუშაობა 1861 წელს დაიწყო და სულ რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ რკინაბეტონზე პატენტიც აიღო. მალევე მონიემ თავისი ინოვაციური პროდუქტისაგან დაიწყო მილების, ფასადების პანელების, ხიდებისა და რკინაბეტონის კოჭების დამზადებაც. რამდენიმე ხნის გასვლის შემდგომ კი ფრანგი მებაღის გამოგონებულმა რკინაბეტონმა მთელი მსოფლიოს სამშენებლო ინდუსტრია მოიცვა.



genia.ge

ადამიანის ფაქტი ჰიპოკრატესგან

სისხლის გამტარი სისტემა უძველეს ჭიებთან ერთად გაჩნდა ამქვეყნად. გული მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ, რის გამოც მის როლს ზურგის არტერია ასრულებდა. ის არტერია, რომლის კედლებიც რიტმულად იკუმშებოდნენ და სისხლს ძარღვებისაკენ ერეკებოდნენ. პირველი გული ჭიების შთამომავლებთან _ ეგრეთ წოდებულ მხარფეხიან ცხოველებთან ერთად იხილა სამყარომ. ისინი ორსაგდულიან ნიჟარებში ცხოვრობდნენ და გარეგნულად რომაულ ფარნებს მოგვაგონებენ. ჭიებმა ევოლუციის შედეგად მოლუსკები მოუვლინეს დედამიწას, რომლებსაც ორსაკნიანი გული ჰქონდათ, წინგულითა და პარკუჭით. რაც უფრო ვითარდებოდა ცხოველთა სამყარო, მით უფრო სრულყოფილი ხდებოდა გულიც.

***

ადამიანის გული ისეთი ძალით გადაისვრის სისხლს არტერიებში, რომ სხეულის შემორბენასა და სტარტზე დაბრუნებისათვის მას საშუალოდ ოცი წამი ესაჭიროება.

***

არტერიებში სისხლი წამში ნახევარ მეტრს გადის, ვენებში ექვს-რვა სანტიმეტრს, კაპილარებში კი სულაც მილიმეტრს.

***

სიცოცხლის სამოცდაათი წლის განმავლობაში გული ორ მილიარდ ექვსას მილიონჯერ იკუმშება და 250 მილიონ ლიტრ სისხლს გადატუმბავს!

***

კაპილარი არსად წყდება და არც უეცრად ქრება. იგი თავის მსგავს კაპილარებს უერთდება, ნელ-ნელა მსხვილდება და ვენურად გადაიქცევა. თავის მხრივ, ვენულები ვენებად ერთიანდებიან და სისხლს ისევ გულში აბრუნებენ.

Genia.ge

ქალბატონი, რომელმაც შეუძლებელი შეძლო

ლევან გაბეჩავა

ლამის 150 წლის ჩვენს ქალაქში მრავლად იყვნენ ადამიანები, ერთი წუთი რომ არ უცხოვრიათ საზოგადოებრივი დავალებების გარეშე, აგურს აგურზე რომ დებდნენ იმ საწარმოთა აღმშენებლობისათვის, რომელთა ხელმძღვანელობაც დიდ პატივთან ერთად, უდიდეს პასუხისმგებლობასაც აკისრებდა თითოეულს. ბევრნი, ბევრნი იყვნენ ისინი: თამარ თავაძე და თინა მეგრელიშვილი, ტატიანა გეგუჩაძე და ნეოლინა ჯიქიძე, მარიამ ნადირაძე და ვერა კუტალაძე, ქეთევან სტურუა, შუშანა ქართველიშვილი, შალვა გოგავა, ვალიკო კოპალეიშვილი, ვაჟა ნიკოლეიშვილი, ვალერიანე თევზაძე, კარლო ძნელაძე...

ქალბატონს, ვის შესახებაც ამჯერად ვწერთ, მისი დაბადებიდან ასი წლისთავის გამო, ნამდვილად ვერ აუვლის გვერდს სამტრედიის მემატიანე.

მას შემდეგ, რაც სამტრედიაში გოგირდოვანი თერმული წყლის საბადო აღმოჩნდა და კურორტოლოგიის პროფესორმა, ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, ალექსანდრე გრიგოლიამ სიმბოლურად პირველი ბარი დაჭრა და სათავე დაუდო სამტრედიაში ბალნეოლოგიური კურორტის დაარსებას, ქალბატონ ზინაიდა (ჩუტუ) ნაცვლიშვილს, რომ იტყვიან, მშვიდად არ სძინებია, სამინისტროდან სამინისტროში, უწყებიდან უწყებაში დადიოდა და...

და გაჩნდა ოაზისი გოგირდოვანი, თერმული წყლის ბაზაზე, სამტრედია კი, საბჭოთა კავშირის მასშტაბით უნიკალურ კურორტთა რუკაზე დამკვიდრდა როგორც საკურორტო ქალაქი.

საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მაღალ შეფასებას აძლევდნენ სამტრედიულ თერმულ წყალს.

ადმინისტრაციული კორპუსი. საბაზანოები, კურორტის სტუმრების - დამსვენებელთა კოტეჯები, კეთილმოწყობილი ეზო, გოგირდოვანი წყლის წყალობით უზარმაზარ სათბურებში მოყვანილი ბოსტნეული და ბაღჩეული, - ყველაფერს აღტაცებაში მოჰყავდა დამსვენებლები, რომლებიც სიხარულს, მადლიერებას არ მალავდნენ ცალკე წყლის სამკურნალო ეფექტის, ცალკე მომსახურე პერსონალის გულისხმიერების გამო. მოცლილს ვერავინ ნახავდა ქალბატონ ჩუტუ ნაცვლიშვილს, კურორტის დირექტორს.

სარედაქციო დავალებით არაერთხელ მომიწია წერილის მომზადება ქალბატონი ჩუტუს მოღვაწეობისა და კურორტზე არსებული ვითარების შესახებ.

ერთ დღეს მე და ფოტოკორესპონდენტი, ბატონი რომან ბექაია კურორტზე მიგვავლინეს საგაზეთო მასალისათვის. მალე მოვალ-მეთქი, დავიბარე. ვერა, ვერ მოხვალ მალეო, _ მითხრა ბატონმა ანზორ გრიგოლიამ. პირველად მივდიოდი იქ მას შემდეგ, როცა პირდაპირ თხრილებში მომდინარე წყალში იდგა ხალხი და ისე იღებდა "აბაზანებს".

ღიმილით შემოგვეგება სათნო ქალბატონი, კორპუსების შემდეგ უკვე გარეთ გამოსულებს სამზეური ქუდები მოგვცა, თავადაც დაიხურა და ვეებერთელა ეზოს ყველა კუთხე-კუნჭული შემოვიარეთ, დამსვენებლებს გავესაუბრეთ, დირექტორისგან უახლოესი გეგმების შესახებაც შევიტყვეთ და მსუყე საგაზეთო მასალით დავბრუნდით.

ნიჭიერი ორგანიზატორი, საქმის მცოდნე, პლენუმებსა და ბიუროებზე სიარული მაინცდამაინც არ უყვარს, _ ასე ახასიათებდნენ ქალბატონ ჩუტუს ბატონები ანზორ გრიგოლია და ოთარ ნაფეტვარიძე.

...

დრო გადიოდა, კურორტი ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა, როცა აფხაზეთიდან დევნილები საქართველოს ამერ-იმერში გაიფანტნენ და მათი ერთი ნაწილი კურორტზეც დასახლდა. მერე, განუკითხაობისას აქ "მხედრიონელებიც" მხედრიონობდნენ, არა როგორც სამშობლოში, არამედ როგორც მტრის ქვეყანაში.

ჯერ კურორტის ეზოში შესასვლელი უნიკალური ჭიშკრის მოსართავები მოიპარეს, მერე, მერე...

გულს უკლავდა მისი ნაოფლარის გაჩანაგებას რომ ხედავდა, მაგრამ აკი ვთქვით, განუკითხაობა იყო ქვეყანაში. არ იყო ის ქალი, ის დირექტორი ქალბატონი ჩუტუ, "მხედრიონელებს" დაძმაკაცებოდა და კურორტი და საკუთარი თავი, ოჯახი ამ გზით გადაერჩინა.

სახლშიც მიუკითხავთ "ღამის "დაუპატიჟებელ სტუმრებს". და, რა ღა თქმა უნდა, ხელცარიელნი არ წასულან.

რ. ბექაიას ფოტო

"სიცოცხლეში დავუფასოთ ამაგი", _ წერდა საქართველოს დამსახურებული ექიმი, ბატონი გენო გეგეშიძე "სამტრედიის მაცნეს" ერთ-ერთ ნომერში, სადაც მაშინდელ ხელისუფალთ ქალბატონი ზინაიდას ღვაწლის ჯეროვანი დაფასებისაკენ მოუწოდებდა.

რატომღაც საკითხი დასმულ საკითხადვე დარჩა.

ღვაწლმოსილი ქალბატონი 1999 წელს გარდაიცვალა.

დღეს კურორტ "სამტრედიას" (უკეთეს შემთხვევაში) ყოფილ კურორტად ახსენებენ. აქაურობისათვის ძველი დიდების აღდგენის სურვილი უკვე წლებია მავანთ წინასაარჩევნოდ უჩნდებათ, მერე კი, მერე არჩევნების ციებ-ცხელებასავით უნელდებათ, არადა, უიშვიათესი სამკურნალო თვისებების წყალს ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია.

ვითომ ზედმეტი იქნება მუნიციპალიტეტისა და რეგიონის, ქვეყნის ბიუჯეტისათვის წყლის გონივრულად გამოყენების შედეგად მიღებული თანხა? ვინ იცის, რამდენ სამტრედიელს წამალივით ესაჭიროება აქაური წყალი...

თემას გადავუხვიეთ, თუმცა ამ პოლიტიკაშეპარული პასაჟითაც გვსურს წარმოვაჩინოთ ქალბატონი ჩუტუს პიროვნება, ის, თუ რა შეძლო მან და ის, თუ რა ვერ შევძელით მის შემდეგ, უომისოდ.

ასი წელი სრულდება ქალბატონი ზინაიდა (ჩუტუ) ნაცვლიშვილის დაბადებიდან.

ნათელში დაავანოს უფალმა მისი სპეტაკი სული.

ჭიდაობის პროფესორი ვახტანგ ბალავაძე



სამტრედიამ სახელგანთქმული მოჭიდავე და მწვრთნელ-მასწავლებელი, ჭიდაობის პროფესორად აღიარებული ვახტანგ ბალავაძე დაკარგა.

ბატონ ვახტანგთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ამბავი. 1980-იანი წლების გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სამტრედიის ცენტრალური ბიბლიოთეკის წინ რამდენიმე ადამიანი ვსაუბრობდით. ამ დროს ერთ-ერთმა თანამოსაუბრემ, აწ განსვენებულმა ნოდარ კაცაძემ, რომელიც მაშინ სამტრედიის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის უფროსად მუშაობდა, მიგვითითა ვახტანგ ბალავაძეზე, რომელიც ცენტრალური რაიონული პოლიკლინიკის მხრიდან ნელი ნაბიჯებით მოუყვებოდა ქუჩას. რომ მოგვიახლოვდა, გულთბილად მოგვესალმა და შემდეგ ყოფილი ადმინისტრაციული შენობისაკენ გააგრძელა გზა. მომერიდა, გამოვცნაურებოდი, რომ ნოდარ ნიკოლეიშვილის ძმა ვიყავი, რომელიც ბატონ ვახტანგს ახლოს იცნობდა. მოგვიანებით მისმა თანასოფლელმა და ცნობილმა ვეტერანმა მოჭიდავემ, სპორტის ოსტატმა ბადრი შენგელიამ პირობა მომცა, ბატონ ვახტანგს ახლოს გამაცნობდა. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო მოჭიდავე დიდი ხანი ვერ ახერხებდა მის მშობლიურ რაიონში ჩამოსვლას. ასე რომ, ჩემს დიდი ხნის ოცნებას, ახლოს გამეცნო იგი, ასრულება არ ეწერა, რაც ჩემთვის ნამდვილად გულდასაწყვეტი ფაქტია. ამ პატარა ისტორიის გახსენებით ვემშვიდობები ტიტულოვან სპორტსმენს და იმედს ვიტოვებ, მისი სახელის უკვდავსაყოფად მომავალში მშობლიურ სამტრედიაში ერთ-ერთ ქუჩას ვახტანგ ბალავაძის სახელი მიენიჭება.

ალრამ ნიკოლეიშვილი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ბეჟან კაკულიასა და ციცინო ფესვიანიძეს შვილის,

ითელო კაკულიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს თამაზ ფოფხაძესა და ნაირა ქორიძეს

ძმისა და მაზლის

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს თამაზ ფოფხაძესა და ნაირა ქორიძეს

ძმისა და მაზლის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები თანაუგრძნობენ თამაზ ფოფხაძეს

ძმის

გარდაცვალების გამო.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, ბატონი

გიორგი კახიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ჭადრაკი
ლეგენდარული ნონა ევროპის ჩემპიონია

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ჭადრაკის დედოფალი ნონა გაფრინდაშვილი უიშვიათესი მოვლენაა ჭადრაკის სამყაროში.

სოლიდური ასაკის მიუხედავად, ჩემპიონი მშვენიერ ფორმაშია და კვლავ მონაწილეობს ტიტულოვან საერთაშორისო ასპარეზობებში.

ამას წინათ, ნორვეგიაში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა უფროსი ასაკის ვეტერანებს შორის, რომელზეც შესანიშნავად იასპარეზა 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის კეთილი ნების ელჩმა, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა და კონტინენტის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

ჭადრაკისა და მისი დედოფლის, ქალბატონი ნონას სამტრედიელი გულშემატკივრების სახელით კიდევ ერთ აღიარებას, მიღწევას ვულოცავთ სასიქადულო ქართველ სპორტსმენს! იმედია, მომავალშიც მრავალჯერ გაგვახარებს ივი ახალი მიღწევებით.

ლევან გაბეჩავა

ვულოცავთ!

ქეთევან ჭელიძეს!

"სამტრედიის მაცნეს" მთავარ დიასახლისს სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს!

პროფესიულ წინსვლასა და ოჯახურ ბედნიერებას გისურვებთ!
უფალი გფარავდეთ და გაძლიერებდეთ!

"სამტრედიის მაცნე"

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო ქეთი!

გისურვებთ ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

გვეამაყები და გვიყვარხარ, როგორც უღალატო, კეთილშობილი, მზიან-ღიმილიანი.

ქეთევან ჭელიძე - თავმდაბალი, გამორჩეული თავისი ხელწერითა და თვითნაბადი ნიჭით.

გლოცავთ შესანიშნავ მეუღლეს, დედას, დას და მეგობარს!
უფალი იყოს შენი ლამაზი ოჯახის მფარველი!

ნათელა გელეიშვილი
მაყვალა ჩირგაძე
ნინო ნანიტაშვილი

დემურ მეგენეიშვილი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორია

იტალიის დედაქალაქ რომში 4-დან 6 აგვისტომდე მიმდინარეობდა ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ამ კონტინენტის ჩემპიონატზე სამტრედიელი ფალავნებიც, ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) სპორტსმენები ივერი ჯულაყიძე (70 კგ.) და დემურ მეგენეიშვილი (86 კგ.) ასპარეზობდნენ. შეჯიბრიდან დაბრუნების შემდეგ "სამტრედიის მაცნეს" კომენტარი მისცა საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში, ამ სპორტსმენების პირადმა მწვრთნელმა ვეფხია სტურუამ:

"ეს შეჯიბრი, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა, სამტრედიიდან ჩემპიონატში ორი ღირსეული სპორტსმენი მონაწილეობდა. ივერის და დემურის მე და ჩემი ძმა, ლაშა სტურუა მრავალი წელია, ვწვრთნით, მათ უამრავი წარმატება აქვთ მოპოვებული. ივერის ცოტა ხნის წინ ფეხის ტრავმის გამო ოპერაცია ჩაუტარდა, მას ჯერ კიდევ არ დაუსრულებია რეაბილიტაციის კურსი, ამიტომ თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა ვერ შეძლო! ხოლო რაც შეეხება დემურს, მან ოთხი შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგო, მხოლოდ ერთი დათმო მოწინააღმდეგის მცირე უპირატესობით. განსაკუთრებით გამოვყოფდი მის შთამბეჭდავ გამარჯვებას რუსეთის ნაკრების წევრ, ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონ ნანიევთან. მან მოწინააღმდეგეზე ქულების დიდი უპირატესობით წმინდა გამარჯვება მოიპოვა. მჯერა, დემური და ივერი კიდევ არაერთგზის გაგვახარებენ და სექტემბერში სლოვაკეთში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს მედლებით დაგვიბრუნდებიან! ვულოცავ დემურსა და მის ოჯახს, ასევე ჭიდაობის ყველა გულშემატკივარს ამ გამარჯვებას და ვუსურვებ, კიდევ არაერთხელ ესახელებინოთ ჩვენი მუნიციპალიტეტი და ქვეყანა!"

ნათია ნაცვლიშვილი

გარდამავალი თასი კვლავ კორმაღლალში რჩება

15 აგვისტოს დასრულდა ტურნირი ფეხბურთში, რომელიც 9 აგვისტოს გაიხსნა და ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ტრაგიკულად დაღუპული გიორგი თევზაძის ხსოვნას მიუძღვნეს.

მე-10 წელია, გომის თემი ამ ტურნირს ტრადიციულად ატარებს და მასში მონაწილეობას ღებულობენ თემში შემავალი სოფლების ახალგაზრდები.

წელს 6 გუნდი მონაწილეობდა: მთისძირის, დაბლა ეწრის, დაბლა გომის, კვირიკეს, გომისა და კორმაღლის. ერთი კვირის განმავლობაში ფეხბურთის მოყვარულებმა, რომელთა უმეტესობას გიორგი თევზაძის თანატოლები, თანასოფლელები და მეგობრები წარმოადგენდნენ, საინტერესო და სანახაობრივი გახადეს ტურნირი.

ყველა მატჩი გაიმართა გიორგი თევზაძის სახელობის სტადიონზე, რომელიც სოფელ კორმაღალში მდებარეობს.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გომისა და კორმაღლის გუნდები. ძირითადი დრო დამთავრდა ანგარიშით 1:1. დაინიშნა 7-მეტრიანი პენალტების სერია, სადაც 4 ზუსტი დარტყმა შეასრულა კორმაღლის გუნდმა და გამარჯვებაც ანგარიშით 4:3 სწორედ მას ხვდა წილად.

გარდამავალი თასი წელსაც გიორგი თევზაძის სოფელში დარჩა. გამარჯვებული კორმაღლის გუნდის კაპიტანს თასი სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა გადასცა.

ფინალურ თამაშს ვალერიანე ფოცხვერიასთან ერთად თვალს ადევნებდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე დავით ბახტაძე.

ნინო ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა